საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

კვირა, 27 აპრილი 1919 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ[illegible] ფასი: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, რომელიც მოთავსდება გვერდზე, ასე [illegible]: პეტიტის სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადება 25 მან. [illegible] განცხადება [illegible] 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. [illegible] რედაქცია არ იბარებს, [illegible] და [illegible] ხელნაწერ-წერილების [illegible].

ხელის მომწერლები [illegible] ქუჩა № 109 [illegible] „ერთობის“ რედაქცია, [illegible] 10—12 საათამდე. რედაქცია და კანტორის ადრესი: თბილისი, [illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 91

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 91

ღრმად დამწუხრებული შვილი გერონტი მინას ძე, რძალი ანნა ივანეს ასული აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და მზრუნველის დედის

ეფროსინე (ფოფია) ნარიმანის ასული კილასონიას

გადახდილ იქმნება დღეს ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი [illegible] დედ-მამა [illegible] ძე [illegible] და მეუღლე მისი [illegible], ძმა [illegible], დები: [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და [illegible] უდროო გარდაცვალებას თავიანთისა

მიხეილ (მიხაკო) მოსეს ძე მიქელაშვილისა

[illegible] გარდაიცვალა [illegible] 26 აპრილს. დაკრძალვა [illegible] 29 აპრილს დილის 3 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე [illegible] ასული, შვილები [illegible], ძმები: [illegible], რძლები: ანნა, [illegible] აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 28 აპრილს სოფელ [illegible] გარდაიცვალა

კირილე გაბრიელის ძე კოპალაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 27 აპრილს სოფელ [illegible] (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: დედ-მამა კატო და [illegible], მეუღლე [illegible], შვილები [illegible] და ქეთევან, [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 27 აპრილს (ძვ. სტ.) ს. [illegible] წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და მათთვის დაუვიწყარის

ვარლამ სტეფანეს ძე [illegible]

სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებული [illegible], [illegible] (ბაში) [illegible], [illegible] და მისი [illegible], [illegible] კაპანაძისა, [illegible]: [illegible] და [illegible] კაპანაძე, [illegible] აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 29 აპრილს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისის [illegible] ეკლესიაში საყვარელი და დაუვიწყარი [illegible]

ვანო (ვანიჩკა) სპირიდონის ძე [illegible]

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე.

---

22 აპრილს, ქ. ფოთში, [illegible] დაკრძალული [illegible] გარდაცვლილი

მენიკო მზარეულაშვილი

[illegible]

[illegible] და [illegible] ასული და [illegible] ძე [illegible] უცხადებენ [illegible], ვინც [illegible] თანაგრძნობა და სამძიმარი გამოუცხადა მათ საყვარელ მეუღლის, დედის, დის და ცოლის დის

პოლინა პროკოფის ასულის პონტრიძის

გარდაცვალების გამო.

ღრმად დამწუხრებული [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ [illegible] წლის 21 მარტს, [illegible] დილის 9 საათზე ქ. [illegible] „[illegible]“ ან „[illegible]“ [illegible] საყვარელი [illegible] ძმა

აკაკი იონას ძე [illegible]

რომლის ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება მიმდინარე წლის 29 აპრილს (ძვ. სტ.) შაბათს დილის 10 საათზე [illegible] (ზუგდიდის მაზრა).

პირველი მაისისათვის

სულ რამდენიმე დღე და დარჩა პირველ მაისამდე, გასაკეთებელი კი ბევრია, თუ ყველა ამხანაგება არ დაეხმარება, [illegible] კომისია [illegible] გახდება.

ამიტომ კიდევ მივმართავთ პარტიულ და პროფესიონალურ ამხანაგებს—მიაქციონ ყურადღება კომისიის მიერ შემუშავებულ და უკვე გამოქვეყნებულ პროგრამას და შეძლებისამებრ ხელი დაუჭირონ მის შესრულებას. თითოეული რაიონის მოვალეობაა მის რაიონიდან დაწყებულ დემონსტრაციის მსვლელობას მისცეს რაც შეიძლება წესიერი, ორგანიზებული და დღესასწაულის შესაფერი ელფერი. პირველ მაისს რამდენიმე ავტომობილი იქნება შემკული ხალხური და მოთავე-მოკავშირე წარწერებით: გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას. აი ამ ავტომობილებში მოთავსდება ჯგუფი, ჩაცმული სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელში.

ამისათვის საჭიროა ეს ეროვნული ტანსაცმელი.

ვისაც შეუძლია ამ საქმეში ხელის შეწყობა, ეთხოვება აცნობოს პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატში სამაისო კომისიას. აგრეთვე ვინც [illegible] პირველ მაისს [illegible] და ლამაზად მორთულ [illegible], ის მიიღებს რამე [illegible] ნიშანს.

ამხანაგებო! პირველ მაისს თვით მუშები [illegible] ქუჩებში დღესასწაულობენ დიდის ამბით. დიდია, საყურადღებოა ამ დღის მნიშვნელობა, [illegible]. პირველი მაისის ლოზუნგმა, საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის ლოზუნგმა მოგვცა ჩვენ რუსეთის დიდი რევოლუცია, მოგვცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა. დღეს საქართველოში დიდ [illegible]. რაც უნდა გასაჭირში ვიყოთ, რაც უნდა გვშიოდეს და გვწყუროდეს, ამ დღეს [illegible] უნდა დავივიწყოთ და ყველამ მიიღოთ მონაწილეობა პირველ მაისის დემონსტრაციაში.

ამხანაგებო, მუშებო, მშრომელნო!

[illegible] პირველი მაისისათვის, [illegible] სახლში.

პირველი მაისი მშრომელთა [illegible]. [illegible], რომელნიც პირველ მაისის დღესასწაულს თანაუგრძნობენ, იმედია კომისიის [illegible] წვლილს გადაიხდიან.

სამაისო სამხატვრო კომისიამ შეიმუშავა შემდეგი წესრიგი დღესასწაულისა.

1) თუ ტემპერატურა მოხერხდა, დემონსტრანტებს სამაისო წითელი ნიშნები მარჯვნივ სტრიქონით და წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს“. წარწერა იქნება ქართულად, რუსულად, სომხურად, თათრულად და თუ მოხერხდა ინგლისურადაც. დემონსტრაციაში მონაწილეთათვის ეს წითელი მაისის ნიშანი სავალდებულოა გულზე ჰქონდეს მიბნეული.

2) დილით ადრე მუშაკით და დროშებით შემოვლენ რაიონებიდან და თავის მოედანზე რაიონების კლუბებში, პროფესიონალურ კავშირებში, აქვე სადაც დემონსტრაციისათვის მიმართულება ამის საჭიროთ დანიშნულ. აქედან კი დანიშნულ საათზე სასახლისაკენ გამგზავრდება.

აქ მოკლე მიტინგი და არა უგვიანეს 12 საათისა დილით, ხელმძღვანელ დემონსტრაციის გამგზავრება სასახლიდან კომისიის მიერ აღნიშნულ ქუჩებით მთავარ სასაფლაოსაკენ, ნაძალადევში. (ეს მარშრუტი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

დემონსტრაციის მსვლელობის წესრიგი და შემადგენლობა წინა დღეებში იქნება გაზეთში გამოცხადებული, ხოლო დღეს ეს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იქნება სათითაოში [illegible] ჯგუფი, მონაწილეთა ჯგუფი, ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფი, მოთავეობას წარმომადგენელნი, დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქცია, ქალაქის სამმართველო ფრაქცია და ამას მოჰყვება პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვა და სხვა მუშათა პროფესიონალური კავშირები.

მოვუწოდებთ ამხანაგებს აქვე დაწეროთ [illegible], რომ დღესასწაული კარგად ჩატარდეს.

[illegible] მათი სახელმწიფოს და ყველა გამოჩენილ შენობას ამ ძვირფასის დღეს [illegible].

3) ყველა ბანქები და დაწესებულებები თვით კომისიის მიერ და რაც შეიძლება იმედი, რომ ყველა [illegible] საზოგადოებრივ შენობებს ეს დღესასწაული სახელმწიფო ყველაფერით.

ამის შემდეგ აქვე სასაფლაოს გვერდზე [illegible] გაიმართება მიტინგი და შემდეგ სადღესასწაულო—წარმოდგენა—თამაში.

4) საღამოს რვა საათზე იქნება დღესასწაულის რაიონებში იმ პროგრამით, რასაც თითოეული რაიონი შეადგენს.

მაგრამ სასმელების ბაზრები ამ დღეს დახურული არაა.

5) სამაისო პლაკატები და წარწერები შეიძლება გამოიყენოთ შარშანდელი და თუ საჭირო დარჩა ახლებიც დავამზადოთ.

სასურველია წარწერა რამდენიმე პლაკატზე ინგლისურადაც.

6) [illegible] სამაისო სახალხო მანიფესტაცია ხალხის—ბავშვისთვის ყვავილებით და წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს —სადღესასწაულო თავისუფალ პროლეტარიატის სახელს“.

7) წინადადებას გადასცემდნენ ხალხის მთავრობა მიწვევით რეგიონ გზის აშხანაგებს, ხოლო საქართველოს, საოლქო, ცენტრალური კომიტეტს, რეგიონალურს და სხვა საზოგადო დაწესებულებების მთავრობა კი ადგილობრივ ამხანაგების მოვალეობა.

8) ვფიქრობთ ამ დღისათვის სამაისო მთავრობის მოკავშირე რამდენიმე ავტომობილი, რომელთაც ქალაქში ივლიან და ალაგ-ალაგ, როცა ხალხი მოგროვდება, პირველ მაისის მნიშვნელობაზე ილაპარაკებენ ამისათვის დანიშნული ამხანაგები.

9) პირველ მაისს დარიგდება ხალხში მოწოდება სხვადასხვა ენაზე ამ დღის მნიშვნელობის შესახებ და თუ მოხერხდა ერთ-ერთი ჩვენი გაზეთთაგანიც შეეფერებით ამ დღეს და ასეც დარიგდება ხალხში.

10) პირველ მაისს უნდა შეჩერდეს ყოველგვარი მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა, ხოლო არსებულ მდგომარეობათა გამო რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა არ შეწყდება.

პირველი მაისი უნდა გახდეს ჩვენი სოლიდარობის, ჩვენი ძალის, ჩვენი ორგანიზაციის და ჩვენი ერთობის მანიფესტაცია—სახალხო ზარზეიმი.

ამხანაგებო!

პირველი მაისი თქვენი დღეა. პირველ [illegible] დღეა წელიწადში.

რევოლუციონურად, ერთსულოვნად, გაბედულად მიიღეთ დღესასწაულში მონაწილეობა.

წითელი ლენტით გულზე...

წითელი ყვავილით ხელში გაეშურეთ ძმათა სასაფლაოსაკენ.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სამაისო კომისია

კონფერენციის გამო

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პირველი კონფერენცია იწყება. იგი ჩვენი დემოკრატიული მთავრობის ინიციატივით არის მოწვეული. ჯერ კიდევ გაზეთზე ძალებმა ჩაშიავლამდე ცდილობდა ჩვენი დემოკრატია ამ რესპუბლიკათა ერთიანი თავშეყრის და მოლაპარაკების. მაშინვე გრძნობდა იგი ერთსულოვნების საჭიროებას. სამწუხაროდ მეზობლებმა არ გაიგონეს ჩვენი ხმა, მათ გარეშე ძალაზე დაყრდნობა არჩიეს წინ სოლიდარობაზე დაყრდნობას. და შედეგი უკვე ჩვენ ვიცით: ინგლისის შემოსვლამდის თვის ქარიშხლით შეგვხვდნენ მოძმეთა შორის. მოვასწავლეთ მოგაწყვეთ სამხედრო თვის ნაცვლად, რომ სოლიდარობა შეგვეძლებოდა ერთმანეთ დაცვისათვის.

დღეს ეს შეცდომა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ სწორდება. დღეს უკვე ყველამ ცნობა, რომ საერთო გარეშე იმედი—ცეცხლს ანდვრებით თავის სოფლებისა.

მაგრამ დღეს სხვებზე თავის ძალებზე დაყრდნობისა ჯერ კიდევ არ გ[illegible] ზედმიწევნით შეთანხმებული ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელი. ჯერ კიდევ ეჭვ-ითით ადევნებენ, სხვის პარტიში შეყურებაზე ხელს არ იღებენ.

ზოგი თავს რუსეთის ბოლშევიკებზე ოცნებობს, ზოგი ამერიკა-ინგლისის მფარველობაზე, ზოგი ოსმალეთის აღორძინების ძალებზე. მაგრამ საერთოდ მაინც შეიძლება ის ფურცელი გზა, რომელსაც წინეთ ბოძალის ველზე მივყავდით ერთიანების წინადადებით. მოლაპარაკების შეთანხმების ალყაფლობიობა საერთო ბედის [illegible] დაიწყო.

რამდენად შორს წავა ამ გზაზე დღევანდელი კონფერენცია, ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ ვიმედოვნებთ ერთი: რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა თავის დემოკრატიულ გზას არ გადაუხვევს, რომ იგი სავსებით შეეცდება, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ყველა რესპუბლიკის დემოკრატიათა სახელმწიფო ინტერესები იქნეს დაცული. და მხოლოდ მეზობელ რესპუბლიკათა წარმომადგენლებზე იქნება დამოკიდებული, მას გაჰყვებიან ამ გზაზე, თუ გაიზიარებენ ჩვენი დემოკრატიის მისწრაფებებს, უნაყოფოს გახდიან კონფერენციის მუშაობას.

დემოკრატიის გზა გარკვეულია: ჩვენ გვინდა ამიერ-კავკასია რეალური ინტერესების და ურთიერთის გაგების ნიადაგზე კვლავ გაერთიანდეს ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც, ე. ი. გაერთიანდეს ისეთ მთლიან ორგანიზმად, რომელსაც შეეძლება შინ განვითარება და გარეშე ყოველი საფრთხისაგან თავის დაცვა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მყისვე ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელია. არ შეგვიძლია წარმოშობილ დაპირისპირებების წინაშე თვალები დავხუჭოთ. ამიტომ დღეს უნდა წამოყენებულ იქნეს ისეთი საკითხები, რომელთა ნიადაგზე ადვილად შეიძლება გაერთიანება, შეთანხმება. ასეთია საკითხი საერთო ფინანსიური სისტემის,—ერთი მხრით და მასთან დაკავშირებული ეკონომიური შეთანხმებისა — მეორეს მხრივ. ამ ნიადაგზე შეთანხმება უკვე გზას გაუხსნის დანარჩენ მნიშვნელოვან საკითხების გადაჭრას: მაგ. საბაჟოების მოხსნის, თავისუფალი ტრანზიტის და სხვ. თვით ისეთი საკითხებიც კი, როგორიცაა საზღვრების გამიჯვნა და რომელიც დიდ დავას იწვევს, შეიძლება დემოკრატიული გზით მოგვარდეს უომრად და უსისხლოდ. აქაც შეიძლება შეთანხმებით, რაიმე რეალურ პრინციპის მიხედვით და ურთიერთისათვის დათმობით გარკვეული მიზნის მიღწევა.

თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაინც რჩება დემოკრატიული საშუალება სადავო საკითხების მოგვარებისა—ეს არის არბიტრაჟი. ჯერ კიდევ სომეხ-ქართველთა შეტაკებამდე გამოვთქვამდით ჩვენ ამ საშუალებისათვის მიმართვას. მაგრამ მაშინ იარაღი არჩიეს ჩვენმა მეზობლებმა არბიტრაჟს.

დღეს იმედი გვაქვს ასეთ შეცდომას აღარავინ გაიმეორებს. სხვა მეზობლებიც მიხვდებიან, რომ ომი არ სწყვეტს საკითხს, არამედ სწყვეტს მხოლოდ ძალის იარაღი მეზობელზე გაბატონებას და ასე ურთიერთის სისხლის ორივე მხარეს. ცხადია დემოკრატიისათვის კი გამოუსადეგარი საშუალება მცირე ერთათვის პირდაპირ დაღუპვაა.

დღევანდელმა კონფერენციამ, რომელსაც ჩვენ დიდის იმედით ვეგებებით, უნდა გადაჭრას ეს საჭიროებრივი საკითხები და ამით ბოლო მოუღოს ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ცას.

დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს გარეშე დავა დათავებული იქნეს და მთელი ყურადღება ხალხის შემოქმედებისა შინაურ სოციალურ გარდაქმნის მოხმარდეს. და კონფერენციამ უნდა მისცეს მას ამის საშუალება. ეს იქნება მისი უმთავრესი დამსახურება.

ომი თავდაცვისათვის

უკანასკნელ ეპოქის თვის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თითქმის განუწყვეტლივ ომს აწარმოებს მეზობლებთან: სამხრეთის ავანტიურის ჩაქრობას შემდეგ მოულოდნელი შეიქნა ოსმალეთის აგენტებით და დენიკინის შავი ლაშქრის ადგომა.

ამ მხრით ფრიად მნიშვნელოვანი აპრილის მიწურული ამ ბოლო დროს.

ჩვენი ჯარის და სახალხო გვარდიის შეერთებულმა ძალამ შესძლო ერთის მხრით ახალციხე - ჯავახეთის გასწმენდა ოსმალეთის ბანდებისაგან და არტაანის ხიზნურას აღება, ხოლო მეორე მხრით გაგრის ოლქის განთავისუფლება დენიკინის შავი ლაშქრისაგან და მდინარე მეხადირის ხაზის დაჭერა. ამ რიგად, ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა იმ წერტილებში იმ დროს, როცა მოქალაქობრივი ცხოვრება მოუწყვეტელია, როცა მრეწველობა და ალებ-მიცემობა დაცემულია და ხალხი მწვავე განიცდის სასურსათო კრიზისს ძალზე შეიდგა.

რა არის ამის მიზეზი? რატომ ვაწარმოებთ ჩვენ ომს, როცა ჩვენი იდეალი მშვიდობა და დღესაც არის ზავი და მშვიდობიანი ცხოვრება?

ვინც გაეცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას, ის შეამჩნევდა, რომ ჩვენი მიზანი არ არის ტერიტორიის გაფართოება და სხვისა ადგილების დაპყრობა. დეკემბერში ჩვენი ჯარის სამხედრო ძალა იყო ბორჩალოს საზღვრებს გადალახავს და ერევანში მისვლაც; სოჭის ფრონტზე შეგვეძლო სოჭს იქით წავსულიყავით, მაგრამ ჩვენ ეს არ მოვიმოქმედეთ. ჩვენი მთავრობა არ სარგებლობს მეზობლის სისუსტით, ჩვენმა დემოკრატიამ უკვე დიდი საერთოდ მიდგომით დიპლომატიური თვალთმაქცობა და მზაკვრობა და ყველაფერი საქმეს ავლენს: მისი სიტყვა და საქმე ერთია.

მაშ რისთვის ვიბრძვით ჩვენ არტაანის და მდინარე მეხადირის ხაზზე?

ჩვენ არ ვემყარებით, ზედაპირულად ისტორიულ საბუთებს. ისტორია ძალიან შორს წაგვიყვანდა, რადგან ისტორიულ საქართველოში შედიოდა არა მარტო არტაანი, არამედ ტრაპიზონი და დღევანდელი ყარსის მხარეც კი.

ჩვენ ვიყენებთ ისტორიულ საბუთებს იმდენად, რამდენად ეს შეეხამება სტრატეგიას, ჩვენი თვითარსებობის თავდაცვის საქმეს.

იყო დრო, როცა ჩვენ თავგამოდებით ვიცავდით ჯერ რუსეთის მთლიანობას, ხოლო შემდეგ ამიერ კავკასიისას. მაგრამ, როცა ცხოვრების მსვლელობა ჩვენს სურვილებზე ძლიერი აღმოჩნდა, ჩვენც იძულებული გავხდით დამოუკიდებელ პოლიტიკური ცხოვრების მოწყობას შევდგომოდით. მიუხედავად ამისა ჩვენ შესაძლებლობით ვცდით ჩვენს მეზობლებთან შეკავშირებას ამა თუ იმ სახით. მაგრამ ეს არის იდეალი, კეთილი სურვილები და ამ იდეალის პრაქტიკულად განხორციელება შეიძლება მხოლოდ დამოუკიდებლობის დაცვით და მისი ყოველმხრივი განმტკიცებით. ამ თვალსაზრისით ვუყურებთ ჩვენ ახალციხე-ჯავახეთს და არტაანს, ბათუმის და გაგრის ოლქს. ეს კუთხეები ამრგვალებენ ჩვენს ტერიტორიას და ამ გზით იქნება ერთი მთლიანი ეკონომიური სხეული. ეს მხარეები შეადგენენ ძვირფას საქართველოს ბუნებრივ საზღვრებს, მას მტერს, რომელიც გადმოლახავდა მტერი ადვილად შემოიჭრებოდა ჩვენი ქვეყნის შუაგულში და მისი ბედიც გადაწყდებოდა. არტაანი და გაგრის კარები სადარაჯოა საქართველოსი, ამ ორი პუნქტის დაკარგვით საქართველოს საზღვარი ორივე მხრით იქნებოდა ღია და დაუცველი. ასე იყო ეს ძველად, ასეა დღესაც: ჩვენი ისტორიული მტერი—ოსმალეთი დღესაც მოკავშირე დემოკრატიულ წყობილებას და დღესაც ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის, როგორსაც ის ორი საუკუნის წინ წარმოადგენდა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საქართველოს, როგორც კაპიტალისტურ ურთიერთობაში ჩაბმულ ქვეყანას, აღარ შეუძლია დაუმორჩილებლად იმას წერილება, რასაც ძველი საქართველო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იტანდა. და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა დემოკრატიამ სრულის სისწრაფით დაუძლია მდგომარეობა და არ აცლის ეგრეთ წოდებულ ბანდებს, რომელნიც შეეძლებოდათ ხელყონ ჩვენი საზღვრების დაცვა დატყვევებას საერთაშორისო პროლეტარიატის მომავალ გამარჯვების იმედით.

ამით აიხსნება ის, რომ ჩვენი ჯარი და სახალხო გვარდია ასე თავგამოწირულად იბრძვის ყველა ფრონტზე და არავითარ გაჭირვებას არ ერიდება.

სხვანაირად არ შეგვიძლია: ვინც დემოკრატიული სახელმწიფო შექმნა, მანვე უნდა ზიდოს მძიმე ტვირთი ამ დემოკრატიული სახელმწიფოს დაცვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუხდება ხელის აღება როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ისე იმ მონაპოვრებზე, რომლებსაც ეს სახელმწიფო ანხორციელებს.

პრესა

„ამხანაგში“ მოყვანილია სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარის ბოლოს ნუბარ ფაშას წერილი, რომელიც მის მოუთავსებია ინგლისურ „ტაიმსში“.

„იმ ერების საქმე, რომლებსაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზავო კონფერენციაში, სრულიად ერთი არ არის. ჩვენი საქმეზე და იმედის

დღეს

ინგლისელ ექიმის მკვლელი ბაიბაძე ჩოხატაურში შეიპყრიათ.

კასპის ზღვაზე ინგლისის სამხედრო გემებს ბრძოლა ჰქონდა ბოლშევიკების გემთან. ბრიტანეთის მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს ასტრახანის ნავთსადგურში.

საფრანგეთის სოციალისტურმა კონგრესმა ხმის დიდი უმრავლესობით უარყო მესამე ინტერნაციონალთან შეერთება.

იტალია თანახმა არაა, რომ სამედიატორო სასამართლო დაინიშნოს ფიუმეს ნავთსადგურის ნეიტრალიზაციის და სხვა საკითხების შესახებ.

გერმანიაში, რურის მაღაროებში, გაფიცვა შეწყდა.

პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკებს შორის შეთანხმება მოხდა.

ბოლშევიკების ცნობით ეგვიპტეში და ოსმალეთში რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო.

საბჭოთა ჯარებმა ფეოდოსია დაიკავა. ოდესაში მოლაპარაკება დაიწყო უკრაინის, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

გადრჩება განუმარტებელი რჩებათ. სომხები ბუნებრივად ელოდენ, რომ მათ მოთხოვნილებას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებით დააკმაყოფილებდენ.

„ახლა ყველამ იცის, თუ რა წარმოუდგენელი უბედურება და საშინელი ზიანი დაატყდა თავს სომხის ერს თავისი ნდობის გამო მოკავშირე სახელმწიფოებისადმი. მაგრამ უნდა ჩაუკვირდნენ იმ ფაქტს, რომელიც სამწუხაროთ, ბევრმა არ იცის, რომ ომის დაწყებიდან სომხები მოკავშირეებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ ყველა ფრონტებზე მტრების წინააღმდეგ. ოთხ მილიონ ნახევარ სომხობიდან ერთ მილიონზე მეტს სიცოცხლე მოესპო ომში. სომხეთის მსხვერპლი შედარებით სხვა მეომარ ერის მსხვერპლთან უფრო მძიმეა. ჩვენი მოხალისეთა ჯარები იბრძოდნენ საფრანგეთის ლეგიონებში, ამერიკელების ლეგიონში, 5,000 მეტი სომეხი იყო სირიის და პალესტინის ფრონტებზე. გენ. ალენბის ჯარების ნახევარი ნაწილი სომხებისაგან შესდგებოდა. კავკასიის რუსის ჯარებში 150 ათასი სომეხი იომოდა. გარდა 50,000 სომეხი მოხალისენი ანდრანიკის, ნაზარბეკოვის და სხვ. მეთაურობით ებრძოდნენ მტერს არათუ მარტო ოთხი წლიწადი, არამედ—რუსეთის დაშლის შემდეგაც კავკასიაში წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალების შემოსევას, ვიდრე დროებითი ზავი ჩამოვარდებოდა. ეს სომხებმა მესოპოტამიის ჯარებს დაეხმარენ იმით, რომ ოსმალეთმა და გერმანიამ ვერ შესძლეს თავიანთი ჯარები გაეგზავნათ ინგლისელების წინააღმდეგ. „ყველა ეს მოკავშირე სახელმწიფოებმა აღიარეს, რაიც ლორდ რობერტ სესილმა განაცხადა ინგლისის პარლამენტში.

„ეს, ამ საბუთებით სომხეთა დელეგაციამ ითხოვა, რომ სომხის ერი იცნონ როგორც მებრძოლი მხარე. ეს რომ ეცნოთ, მაშინ მიღებული უნდა ყოფილიყვნენ კონფერენციაზე, სადაც დაშვებულნი არიან ატლანტიის იქითა მყოფი სახელმწიფოები, რომლებსაც ომში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათთვის საკმაო დარჩა, რომ გაეწყვიტათ გერმანიასთან დიპლომატიური დამოკიდებულებანი.

„იმ წუთს, როცა სომხეთის ბედი უნდა გადაწყდეს, ჩემი მოვალეობაა, როგორც სომხეთა დელეგაციის თავმჯდომარისა, მივუთითოთ იმ საყურადღებო როლზე, რომელიც ასრულა სომხის ერმა ამ საშინელ ომში“.

დამფუძნებელი კრება

25 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მიღებულ კითხვისთვის კომისიებში გადასაცემად შემოსულ კანონპროექტებს, რომლებიც გადაეცა სათანადო კომისიებს.

გ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის საბოლოო ტექსტი.

დამატებითი კანონპროექტი საქართველოს ქვეშევრდომობის შესახებ.

მომხსენებელია პ. საყვარელიძე. ქვეშევრდომობის საკითხს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოს ვერ წარმოადგენთ უქვეშევრდომოთ, უტერიტორიოთ და უხელისუფლებოთ. ჩვეულებრივ პირობებში (სადაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება უკვე ჩამოყალიბებულია). მოქალაქეობის საკითხი ადვილად წყდება. ასეთ პირობებში ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეიძინება და დაიკარგება მოქალაქის ქვეშევრდომობა.

ჩვენ კი ახალ სახელმწიფოს ვქმნით და ამიტომ ჩვეულებრივი კანონები მოქალაქეობის შესახებ ჩვენთვის საკმარისი არ არის. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ყოფილმა პარლამენტმა ქვეშევრდომობის შესახებ გამოსცა დებულება, რომლის ძალით საქართველოს ქვეშევრდომად ყველა ის, ვინც მიწერილი იყო რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წ. 19 ივლისამდე. ამ კანონმა წინააღმდეგ დაირღვნენ ყველა ისინი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ეგრეთვე ვერ [illegible]. ამ კანონის ძალით საქართველოს ქვეშევრდომობის გარეთ დარჩნენ ზოგიერთი საქართველოს მკვიდრნი, რომელნიც სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ჩვენ შემოგვაქვს ეს დამატებითი კანონ პროექტი, რომლის ძალით საქართველოს ქვეშევრდომათ გამოცხადებულ უნდა იქნას ყველა ის ქართველი, რომელიც არ არის მიწერილი რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე და სცხოვრობს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე, თუ ამის საწინააღმდეგო სურვილს არ განაცხადებენ ექვსი თვის განმავლობაში, საქართველოს ქვეშევრდომობის უფლება აქვთ აგრეთვე ყველა ყოფილ რუსეთის მოქალაქეთ, რომლებიც განუწყვეტლივ საქართველოში სცხოვრობდნენ სამი წლის განმავლობაში 19 ივლისამდე 1914 წ. და არ იყვნენ მიწერილნი რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე, თუ კი ამის სურვილს განაცხადებენ დღიდან ამ კანონის გამოცხადებისა სამი თვის განმავლობაში. ეს დროებითი კანონი იქნება. საკონსტიტუციო კომისიაში უკვე დამზადებულია კანონ პროექტი ქალების, ბავშვების და ნატურალიზაციის უფლების შესახებ. ამ დამატებითი კანონპროექტის ძალით ქალი, თუ ის უცხოელს გაჰყვა, ჰკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, და თუ კი უცხოელი შეირთო საქართველოს მოქალაქემ, მაშინ იღებს საქართველოს მოქალაქეობას და ს. ხ.

ლ. შენგელაია. (ს. რ.) საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცემული დებულება ქვეშევრდომობის საკითხის შესახებ ცალმხრივი იყო. ამ დებულებამ დიდი ზიანი მოიტანა. ამ კანონპროექტში არაფერი არ არის ნატურალიზაციის, ბავშვების და ქალების უფლების შესახებ. ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ არა სოციალისტური კანონ პროექტისა.

პ. საყვარელიძე უპასუხებს შენგელაიას და ამბობს, რომ ნატურალიზაციის ქვეშევრდომობის მიღების, ქალების და ბავშვების უფლების შესახებ მე ვთქვი უკვე დამზადებულია კანონ-პროექტი მეთქი. რათ დასჭირდა ბ. შენგელაიას იმაზე, რაც საჭირო არ არის, ლაპარაკი, მე არ ვიცი.

გ. გიორგაძე. შენგელაიას აზრი ცალმხრივია. ყოველი კანონის შექმნის დროს ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ორი სადაო პრინციპით: სახელმწიფოებრივი და ინდივიდუალურით. ეს ორივე ცალკეულად დაცული უნდა იყოს. მარტო ინდივიდუალური პრინციპით ხელმძღვანელობა სახელმწიფოს არღვევს. ინდივიდუალური პრინციპი არის არა სახელმწიფოებრივი, არამედ—ანარქიული პრინციპი. მეორეს მხრით რადგანაც საკონსტიტუციო კომისიაში უკვე დამზადებული ყოფილა კანონ-პროექტი, შესახებ მოქალაქეობისა, მე ს.-დ. ფრაქციის სახელით წინადადება შემოაქვს ეს კანონ-პროექტი დაუბრუნდეს [illegible] კომისიას და ათი დღის განმავლობაში წარმოადგინოს ერთი მთლიანი კანონ-პროექტი. [illegible] თანახმაა ამ წინადადებას. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

დამფუძნებელ კრებას პ. საყვარელიძემ მოახსენა კანონ-პროექტი ხელოვნების კომისიისათვის 100,000 მ. გადადებისა საქართველოს 1 წლის დამოუკიდებლობის დღესასწაულის მოსაწყობად.

დ. ნათაძე. ჩვენი ფრაქცია ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ რადგანაც ეს შეეხება ფინანსიურ კომისიას, წინადადება შემოგვაქვს ჯერ გადაეცეს მას და შემდეგ აქ იქნას წარმოდგენილი.

სამხედრო მინისტრის განცხადება.

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! აპრილის შუა რიცხვებიდან დაწყებული ჩვენ ვაწარმოებთ სამხედრო ოპერაციებს ორი მიმართულებით: სოჭის და არტაანის. ამ სამხედრო ოპერაციების მიზანია არა ახალი ქვეყნების დაპყრობა, არამედ სტრატეგიული პუნქტების დაჭერა. ახალ-ქალაქის და ახალ-ციხის დაჭერის შემდეგ ოსმალეთი ბრბოები კვლავ შეეცადენ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას და ამიტომ ჩვენი სარდლობა იძულებული იყო არტაანის მიმართულებით წინსვლა განეგრძო, რათა სამუდამოთ აეცილებინა თავიდან ბრბოების შემოსევა. ნაბიჯი გადადგმულ იქნა და 20 აპრილს ჩვენმა ჯარმა არტაანი დაიჭირა. არტაანში დიდძალი სამხედრო მასალა ჩავიგდეთ ხელში. რაც შეეხება სოჭის ფრონტს, იქ შეტევა დავიწყეთ 17 აპრილს. მტერი სასტიკად დამარცხდა და ჩვენ დავიჭირეთ ჩვენთვის სტრატეგიულად საჭირო ადგილები. ორივე მიმართულებით სტრატეგიული ადგილები დაკავებულია. ჩვენის მხრით ოპერაციები დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ დაგვესხმიან თავს მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით შესაფერი პასუხი გავცეთ (ტაში).

დამფუძნებელ კრებამ დაადგინა მიესალმოს სამხედრო გვარდიას და ჯარს.

მგ. ხ.

რევიზიის შედეგი

ბორჯომის პუნქტებში.

მთავრობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ მოახდინა რევიზია ბორჯომის სამხედრო სასურსათო მაღაზიისა.

აღმოჩნდა, რომ შემოსავალ-გასავლის წიგნები, რომელიც წიგლია სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებიდან, უწარმოებიათ [illegible]. შემოსულ სურსათის რაოდენობას თავის დროზე სწერდნენ წიგნებში. ხშირათ სურსათი უძღვევიათ არა სპეციალური ჩეკის თანახმათ, არამედ—უბრალო ქაღალდის ნაგლეჯზედ არის აღნიშნული გატანილ საქონლის რაოდენობა. ყოველთვის არ არის ჩეკები ხელმოწერილი რაზმის ინტენდანტის მიერ. გასავლის წიგნებში ნაჩვენებია 105 ფ. და 5 გირ. ფქვილი გაგზავნა ბაკურიანის რაზმს—ამის გასამართლებელი საბუთები კი არ აღმოჩნდა მაღაზიაში. ამის შესახებ მაღაზიის ზედამხედველმა განაცხადა, რომ ბორჯომის რკინის გზის სადგურის უფროსს აქვს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ფქვილი დანიშნულებისამებრ გაიგზავნა. სარევიზიო კომისია შეეკითხა სადგურის უფროსს, რომელმაც განაცხადა, რომ სადგურის წიგნებში არ არის აღნიშნული ზემოხსენებული ფქვილის გაგზავნა.

სურსათს ეს მაღაზია იღებდა თფილისის მთავარ სასურსათო საწყობიდან. იყო შემთხვევები, როდესაც გაგზავნილ სურსათს რაოდენობა აკლდებოდა. მაგალ., თფ. გაუგზავნიათ 1020 ფუთი ხორბლის ფქვილი, ბორჯომში კი მიუღიათ მხოლოდ 959 ფუთი და 88 გირ. თფილისიდან გაუგზავნიათ 1007 ფუთი შაქარი, დაიკლებია 61 ფუთი და 29 გირვანქა. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ საქონელს არ დაკლებოდეს: მაღაზიის ზედამხედველს ყოველთვის თავის დროზე შეუდგენია აქტები,—მხოლოდ აღსანიშნავია ის, რომ მიმღებ კომისიაში ყოველთვის ერთი და იგივე პირებს მიუღიათ მონაწილეობა.

პურის საცხობის საქმე ვერ არის სათანადოთ დაყენებული. ხორბლის და სიმინდის ფქვილის რაოდენობა წიგნებში ერთი სახელწოდებით არის აღნიშნული. „ფქვილი“. რომელი ფქვილი რამდენი იხარჯებოდა ამის გამოკვლევა შეუძლებელი ხდება. არც ხელსაყრელ პირობებით შეკვრიან პურის მცხობელ ივანოვს. ერთ ფუთ ფქვილში იგი მაღაზიას აბარებდა გამომცხვარ პურს 1 ფუთს და 14 გირ. თუმცა ფუთი ფქვილი იძლევა 14 გირვანქაზე მეტს და რომ ეს ასეა, იქიდანაც სჩანს, რომ ამ კონტრაგენტს ზედმეტი გამომცხვარი პური მიუცია მაღაზიისთვის 600 ფუთამდე და თუ ფუთს ვიანგარიშებთ 100 მანეთად, ეს შეადგენს 6000 მ. ადვილი შესაძლებელი იყო ამ კონტრაგენტს გარეშე პირთათვის მიეყიდა პური ზედმეტ ფასებში.

ამავე კომისიამ მოახდინა რევიზია ბორჯომის სადგურის პუნქტის, სადაც აღმოჩნდა, რომ დიდ დაუდევრობას ქონია ადგილი: რამდენიმე კაცი ირიცხება ამ პუნქტში სრულიადაც არ არის ნაჩვენები წიგნებში, დახარჯული სურსათის რაოდენობა არ არის აღნიშნული შემოსავალ-გასავლის წიგნებში. ამ პუნქტს ბევრი დავალიანებული მოხელე ჰყოლია და თუ შემოსავალ გასავლის წიგნებიც არ ეწარმოებიათ, რით უძლევიათ ჯამაგირები. პურის საცხობის საქმეც სწორედ ისეა მოწყობილი, როგორც ზემოთ დასახელებულ სასურსათო მაღაზიაში. ამ პუნქტსაც კონტრაგენტი ფუთ ფქვილზე აძლევს ერთ ფუთს და 14 გირვ. და ზედმეტი პური, რომელიც ფქვილს მოემატება, შეუძლიან გაჰყიდოს კერძო პირებზე, რადგანაც ეს ხელშეკრულებით არ ეკრძალებოდა.

სარევიზიო კომისიამ განიხილა რა ყველა ეს, შეადგინა და ოქმები და თავის დასკვნით წარუდგინა სამხედრო მინისტრს.

კომისია სთხოვს სამხედრო მინისტრს გადააყენოს სამსახურიდან ბორჯომის მაღაზიის ზედამხედველი ვეფხვაძე და მისი თანაშემწე კვერკველიძე. ამასთანავე პირველის საქმე გადაეცეს სასამართლოს. გამოცხადდეს შენიშვნა ბორჯომ-ახალციხის სადგურის პუნქტის უფროსს პოლკოვნიკ ჩხეიძეს. დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას სამსახურიდან და სამართალში მიეცეს სადგურის პუნქტის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი წითელოვი.

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

26 აპრილი.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის წარმომადგენლების 25 აპრილისთვის ვერსალში მიწვევა გერმანიის მთავრობამ ბერლინში შაბათს დილით მიიღო. არ გამართლდა იმედი, ვითომ ნოტა საზავო პირობათა ნაწილს შეიცავს.

საფრანგეთის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგატების მოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება. ბერლინის გაზეთების ცნობით გერმანიის დელეგაცია ორშაბათს, აპრილის 28 გაემგზავრება. აღნიშნავენ, რომ ნოტა შინაარსით და ენით განირჩევა წინა ნოტისაგან, მაგრამ მასში არაფერია ნახსენები მოლაპარაკების შესახებ. „ფორვერტსი“ ამბობს, გაჩუმება თანხმობის ნიშანი, რადგან მოლაპარაკება დელეგაციის გაგზავნამდე უნდა მომხდარიყო. გაზეთი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ გერმანია მზათაა საჭირო მსხვერპლი გაიღოს ვილსონის პრინციპების განსახორციელებლად და მტკიცე ზავის შესაკვრელად, მაგრამ გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ეცადოს, რომ გერმანელებს არ წაართვან თვით-გამორკვევის უფლება და ფიზიკური არსებობის საშუალებანი და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მთელი მსოფლიოს სინიდისს მიმართავს იმ ძალადობის გამო, რომელსაც ამ ჟამად ადგილი აქვს ჩვენი არსებობის უფლებაზე. ჩვენ ვიბრძვით ვილსონის პრინციპებისთვის არა მარტო ჩვენი, არამედ—მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების სასარგებლოთ.

საალყო წესების გამოცხადების შემდეგ დახურეს უკიდურესი რადიკალური გაზეთი „რესპუბლიკა“, რომელიც სისტემატიურათ აწარმოებდა ხალხის გაღიზიანებას და ერთმანეთზე მისევის პოლიტიკას.

რურის ოლქში გაფიცვა თანდათან სუსტდება, მაგრამ მოსალოდნელია ახალი გაფიცვები. განსაკუთრებით დიუსელდორფში, რადგანაც მრავალი მუშა ჯამაგირის დაკარგვის გამო დიდ გაჭირვებაშია.

ყოფილ საქსონიის სამეფოს ტერიტორიაზე ცენტრალურმა მთავრობამ საქსონიის მთავრობის წინადადებით საალყო წესები გამოაცხადა.

გერმანიის სხვადასხვა ნაწილში გამართული დემონსტრაციების ხასიათი იმას მოწმობს, რომ გაიზარდა მოძრაობა გერმანელებით დასახლებულ ოლქების ჩამოშორების წინააღმდეგ. დანციგის მცხოვრებლებმა სოციალისტებმა ყველა ქვეყნის სოციალისტებს მიმართეს, რომ არ დაუშვან გერმანიაზე ძალადობა.

დანციგის მოხალისე ჯარებისადმი მიმართულ სიტყვაში ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ განაცხადა: „უაზრობა იქნება მოხალისეთა ჯარი ან ეროვნული გვარდია მუშებისათვის ან მოპოვებულ თავისუფლებისათვის საშიშროთ ჩასთვალოს. ყოველგვარ საშუალებით დავიცავთ ჯარს, თუ მას მოედებიან [illegible] ბოიკოტის ან სხვა რაიმე სახით. მთავრობას შეუძლიან დაეყრდნოს ახალ ჯარს, რომლის შემწეობითაც ადვილი იქნება წესრიგი და მშვიდობიანობა.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. აპრილის 24. მინსკი. აპრ. 24. ლიტვის და ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის თავ-

წერილები ლიტერატურის შესახებ

ზოგს ჰგონია, რომ პოეზია, ბელეტრისტიკა და „სხვა ამგვარები“ (როგორც ისინი იტყვიან ხოლმე) უსაქმურთა თავშესაქცევია, რეაქციის დროის გასართობი რამ არის, მხოლოდ რევოლუციის დროს კი უნდა მეფობდეს მხოლოდ მიტინგი და ორატორი, აგიტაცია და აგიტატორი...

და ის კი დავიწყებიათ, რომ პოეზია და საზოგადოთ ხელოვნება უდიდესი აგიტატორია; ამაზე ძლიერ, გულის გამგმირავ და მთელი სულიერი ცხოვრების ამაფორიაქებელ სიტყვას ვერც ერთი ტრიბუნიდან ვერ გაიგონებთ! ხელოვნება უდიდესი [illegible] ადამიანთა ცხოვრების წინ გასაქანებლად, ხელოვნება უდიდესი რევოლუციონერია!

— მათიაშ, რას ამბობ? ვლადიკასთან შენ ძმათ ნაცნობი ხარ, ფიცნაშამი... ჩემთან და-ძმობა გაქვს ნათქვამი,—გაკვირვებით ეუბნება ბზალი მათიას, როცა უკანასკნელმა სრულიად მოულოდნელად სიყვარული გამოუცხადა მას, ქმრის მთელის არსებით მიყვარხარ და შვილების ერთგულს.

— და-ძმობა? ლომისამ დაწყევლოს ნათესაობის მომგონი.

— ღმერთს ნუ აწყენ, მათიაშ!

— სადაა ღმერთი?.. თუ ღმერთია რათ შემაყვარა შენი თავი? რად არ მომაშორებს ამ სიყვარულს, რომელმაც კაცი კაცობით გადამწვა.

— შენი პირობა, შენი სიტყვა?

— აკი მიჰქრა ჩემი პირობა იქამდის სადამდისაც შევიძელ! აღარ შემიძლიან ამის მეტი... იცით ვის წინაშე აღმართავს ამ სიტყვებით გამამართლებელ ხმალი მათიაშ? ის ეკვეთება ძველ დაჭკნებულ ზნეჩვეულებებს და ტრადიციებს, პიროვნების დამაბრკოლებელ ზღუდეებს. აუჯანყდები ყაზბეგის ადათებს და კერპს თემს, დაგმობ მის კანონებს ძმად გაფიცვის შესახებ, უძახი „ნათესაობის მომგონს“ და თვით ღვთის არსებობაზეც კი შეიტან ეჭვს.

კითხულობ ამ სტრიქონებს, თვალწინ გიდგას მათიას პიროვნება და გულის წარმტაცი სიყვარული მზიარე და შენც წყევა-კრულვით იხსენებ თემს და უარყოფ ღმერთს. ხელოვნებამ გაგიტაცა, მოგაჯადოვა, მთელი შენი არსება გარდაქმნა.

და კიდევ იტყვიან ვინმე—ხელოვნება არ არის რევოლუციონერების აღმზრდელი? ხელოვნება არ არის უდიდესი აგიტატორი?

ხელოვნება არა მარტო ცხოვრების სანახავის სარკეა, არამედ უდიდესი იარაღია ცხოვრების უკუღმართობასთან საბრძოლველად. ცხოვრების უარყოფით მხარეების დახატვა და იმავე დროს აქვე განახლების ნაპერწკლების აღმოჩენა, ზიზღი მძლავრს, სალამი განთიადს, წყევა და კრულვა მას, ვინც იღუპავს შეურაცხყოფს, თავდადებით ბრძოლა იდეალური ქვეყნის გასამეფებლად,—აი უდიდესი საგანი და დანიშნულება ხელოვნებისა.

ჰიუგო ლაპარაკობს: „ხელოვნების მეოხებით ჩვენ ვაზიარებთ არა მარტო იმ რეალურ არსებათა ტანჯვა სიხარულს, რომელნიც ჩვენს გარშემო სცხოვრობენ, არამედ იმათ ხვედრსაც ვინაწილებთ, რომელნიც ჩვენს შემდეგ იარსებებენ. ჩვენი მგრძნობელობა ფართოვდება და გულში იხუტებს პოეზიის მიერ შექმნილ დაუჯერებელ ქვეყნებს.“ ამიტომაც—ეჩვენება ჩვენს მკვლევარს,—ხელოვნება უტილიტარულად უწყობს ხელს ცხოვრების პროგრესს.

ლუნაჩარსკი სწერს:*) „პოლიტიკა და ხელოვნება, განსაკუთრებით პოეზია, ბევრ რამეში ერთდებიან. როგორც პოლიტიკა, ისე ხელოვნება ცდილობს რაც შეიძლება ღრმად შეარყიოს და აღაშფოთოს ადამიანი; როგორც პოლიტიკა, ისე ხელოვნება უნდა ცდილობდეს, რომ რამდენადაც შეიძლება მიაღწიოს ამ ადამიანის სულს და გულს და შეიცნოს მისი არსება. სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს ის სიტყვები, თითქოს „პოლიტიკური საგალობელი ყოველთვის ცუდი საგალობელი არის“,—პოლიტიკასა და ხელოვნებას სხვადასხვანაირად შეუძლიათ გაანოყიერონ ერთიმეორე: პოლიტიკას შეუძლიან მისცეს ხელოვნებას უდიდესი კოლოსალური მასალები, თავდამოწყვეტილი იმპულსები, ხელოვნებასაც თავის მხრივ შეუძლია ერთი ათასად გააძლიეროს პოლიტიკურ ასპარეზზე მებრძოლის ნების ღონე და სული“.

ასე მსჯელობს ჩვენი დიდი მასწავლებელი.

თანამედროვე კაცობრიობა უდიდესი ცვლილებების წინაშე სდგას. საერთაშორისო ომმა ყველასათვის აშკარა ჰყო ბურჟუაზიული ურთიერთობის მოძღვრება და მთელი ქვეყნის ახალ საფუძვლებზე აგების საკითხი დღეს უკვე მთელის თავის სიმძაფრით დგას ყველას წინაშე. დღესავით ნათელია, რომ ამ საშინელი ომის შედეგი იქნება არა მარტო პოლიტიკური ცვლილებანი, არამედ არსებულ სოციალურ ურთიერთობის შერყევა და შეცვლა. შეიძლება ჯერ-ჯერობით [illegible] ვერ დამარცხდეს ბურჟუაზიული [illegible], მაგრამ სასიკვდილო ლახვარი, რომ ჩაეცა, უკვე ცხადია,—შემდეგი მისი არსებობა სასიკვდილოთ განწირულის აგონია იქნება.

მაშასადამე ადამიანთა [illegible] ნამდვილად მეტად რყევაში იქნება, წინანდელ მყუდრო ცხოვრებას ბოლო მოეღება და მთელი კაცობრიობის ცხოვრება ისეთი იქნება, როგორიც იმ მეზღვაურებისა, რომელთაც შორეულ მეზღვაობის დროს სრულიად მშვიდი ზღვა მოულოდნელად აღელდებათ და ერთ დროს მათი თითქოს მძლავრი გემი, ახლა უწყალოდ მიჰყვება მოუსვენარ ტალღებს, ნაფოტივით დაათამაშებს და როდის დაიღუპება არ იცის.

როგორი გამოხატულება ყოველივე ეს მომავლის ხელოვნებაში, რა გვარად აღბეჭდავს ადამიანის ძეთა გზის ასეთ საფრთხეში ჩავარდნას პოეზია, ამ საკითხს [illegible] მნიშვნელობით?

აი საინტერესო კითხვები, რომლებსაც მხოლოდ მაშინ გავსცემთ პასუხს, თუ ნათელი წარმოდგენა გვექნება წარსული დროის ლიტერატურაზე და საზოგადოდ ხელოვნებაზე. ისტორია უდიდესი მასწავლებელია აწმყოსი და მომავლის გასაგებ-შესასწავლად და ჩვენც ამ შემთხვევაში მას მივმართავთ.

თანამედროვე ევროპის საერო განათლების განთიადზე ჩვენ ვხედავთ პეტრარკას, ბოკაჩიოს, დანტეს. ეს იყო საშუალო საუკუნოების მიწურულში და ახალი ისტორიის დასაწყისში. ამ ხანას აღორძინების ხანა, ანუ რენესანსი ჰქვია (მე 13—14 ტდ საუკ.) ამ ხანაში პირველად აღიმაღლა ხმა საერო განათლებამ სასულიერო მოძღვრების—თეოლოგიის წინააღმდეგ, უარჰყო გრძნობისა და აზრის შემზღუდველი სქოლასტიკა და სასტიკი ომი გამოუცხადა ეკლესიის ავტორიტეტს, რომელიც გარდაუვალ დიდათ აწვა მთელ მაშინდელ კაცობრიობას; სამღვთო წერილის გარეშე აზროვნება არ შეიძლებოდა, ყველა უნდა ცდილიყო, რომ აქ მოენახა საჭირბოროტო კითხვების პასუხი და გარეშე სახარებისა ყოველივე [illegible] იყო.

მას აქეთ ბევრი ბუმბერაზი მოაზროვნე წარმოშვა კაცობრიობამ, მრავალ მწვერვალებსა ვხედავთ ხელოვნებისა და ფილოსოფიის სამეფოებში. ამ მწვერვალებიდან ჩვენ მხოლოდ ორზე გვექნება ლაპარაკი: ერთია გოეთე—ფაუსტის ავტორი და მეორე მუდამ მშფოთარე და მუდამ მოუსვენარი ბაირონი.

ჯერ ვილაპარაკოთ გოეთეზე.

მუდამ წყნარი, მუდამ მშვიდი და მასთან მუდამ პარნასზე შარავანდედით მდგომი გოეთე ბოლოს და ბოლოს მაინც ცოდვილი დედამიწის შვილი დარჩა, აგრე მხატვრულად და ხელოვნურად გამოთქმული მისი აზრები მაინც ცხოვრების ანარეკლი შეიქნა, ვერც საბერძნეთის კლასიციზმით გატაცებამ უშველა დიდებულ მგოსანს და ვერც პარნასზე განსვენებამ. დიდ გოეთესაც თავის ბეჭედი დაასვა ცხოვრებამ, მაგრამ არა საერთო ცხოვრებამ—დაყენებულმა გარეგან ისტორიისა, არამედ განსაზღვრულმა დრომ, სახელდობრ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულმა და მეცხრამეტის დასაწყისმა.

შემცდარი იყო ჩვენი ილია, როცა „მეზვერის წერილებში“ გოეთეს მგინდაის ადარებდა და ამბობდა: „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავკარგი მის (გოეთეს, რომელსაც მგოსნების მთავარს ეძახის ილია) მაღლა შუბლზე ერთ ძარღვსაც არ ატოკებს. ძირს თუმცა დედამიწაზე უდგა, თავი კი ცას მიუწვდენა, გაზზე გამდნარა, მიუკარებელია“ და სხ. დიახ, ცდებოდა ილია, როცა ასეთის თვალით უყურებდა გოეთეს, იმ გოეთეს, რომელმაც გარეგნულად, მართალია, წყნარად და არა მღელვარე თრთოლვით და [illegible] ნიშნით გამოხატა განსაზღვრული დროის მისწრაფებანი. ძველი, ფეოდალური ქვეყნის ნაგები მეჩვიდმეტე საუკუნეში შეირყა. ეს იყო ინგლისში, სადაც ამ დროს დატრიალდა უდიდესი რევოლუცია: მთავრობითი მეფე კარლოსის თავის მოკვეთა, მუშურების დემოკრატიის დიქტატურა, კრომველის პროტექტორატი, მრავალნაირი ამ დროის იდეოლოგიის წარმომადგენელნი—მწერლები და ფილოსოფოსები: ჯონ მილტონი (დაკარგული სამოთხე), ჰობსი (ლევიათანი) და ჯონ ლოკი. პირველი კრომველის მადიდებელია, მეორე რეაქციის წარმომადგენელი, მესამე რევოლუციის ამართლებს. ყველა კლასს ჰყავს თავისი იდეოლოგები—რეაქციონერებს თავისი, რევოლუციონერებს კიდევ თავისი.

ინგლისის ცხოვრების შერყევა დასაწყისი შეიქნა უდიდესის კატასტროფების, სოციალური მიწის ძვრა ინგლისის შემდეგ საფრანგეთში გადაინაცვლა, ეს იყო მეთვრამეტე საუკუნეში. ამ ძირითადი რყევის მახარობელი მერცხლებიც ბლომად მოევლინენ მაშინდელ საფრანგეთს: მონტესკიე, რუსო, ვოლტერი და ენციკლოპედისტთა ბრწყინვალე კრებული. ფეოდალურ ნანგრევ-შერყეული ადამიანი ტოკავს და თრთის, დუღავს და საბრძოლველად მიიწევს.

ამ ეპოქას რაციონალიზმის—გონების ბატონობის—ხანას უწოდებენ. საშუალო საუკუნეებში და რამდენიმედ რეფორმაციის დროსაც, გრძნობა ბატონობდა, ყოველგვარი რწმენით უნდა მიეღო ზეცისაგან, გონება უკანა კარებში იყო, ახლა კი, როცა პაპის ბატონობა შეირყა, სარწმუნოების არხებიც დაგვა და წინ გონება წამოდგა, უკანა კარებში

---

*) Отклики жизни, Луначарскаго, СПБ. 1906. გვ. 121. 1906 წელში გამოსულ პოლემიკურ წიგნში „ფორვერტს-თან“, ერთი საპოლემიკო წერილი გად მოთარგმნილი აქვს ლუნაჩარსკის და ჩვენც ამ თარგმანით ვსარგებლობთ.

ავტ.

ღაცვის საბჭომ შემდეგი ბრძანება გამოუშვა: სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სამოქალაქო და სამხედრო ძალა-უფლება ლიტვის და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ხელში გადადის. რესპუბლიკის მოქალაქენი იცავენ წესრიგს და სიწყნარეს. ადესა. აპრ. 24. უკრაინის საბჭოთა ჯარმა აიღო ბენდერი. რუმინელები გარბიან. ევი. აპრ. 24. სამხედრო ცნობა: [illegible] შეპეტოვკასთან ჩვენი პარტიზანები მოწინააღმდეგის ბანაკს უშენდა. ჩამოვდით 4 ყუმბარა, რამაც გამოიწვია ცეცხლის გაჩენა. ვოლოჩისკთან ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 17 გალიციელი შეიარაღებული ვინტოვკებით და 2 ტყვიისმფრქვეველით. დნესტრის მარცხენა ნაპირი რიბნიცადან შესართავამდე გადასახვდელად ჩვენს ხელშია. პეტლიურას ჯარმა დნეპრის იქით დაიხია, ერთი ნაწილს რუმინელებმა იარაღი აყარეს, მეორე ნაწილი გალიციაში შეიჭრა. ბენდერთან მოწინააღმდეგის ჯგუფის ლაჩვების შემდეგ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 24 ზარბაზანი, 14 მატარებელი, 6000 ყუმბარა, 100,000 ტყვია, 8000 ვინტოვკა, 6 ავტომობილი და სხვა მრავალი ქონება. მერიჩანის მიმართულებით, 4 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ სოფელი ნოვოგრიხაილოვკა და სადგური ვლადისლავოვკა. 22 აპრილს ორი ნაღმოსანი ანგლისელების დროშებით ჩვენ თხრილებს უშენდა, დიდი ზარალი არ მიუყენებია. მოლაპარაკება დაიწყო უკრაინას, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა გამოცვლის მოწესრიგების შესახებ. სამხრეთის ფრონტი: მარიუპოლის მიმართულებით ჩვენ დავიბრუნეთ მაწნევი, სადგური კალჩიკი და ვორიოვკა. ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია: იუზოვკასთან ბრძოლა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. ლუგანის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა მდ. ბელაიამდე წინ წაიწია და მდინარის ხელში ჩასაგდებად ბრძოლაა. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონი. ჩვენმა ჯარმა სადგურ შიპოვიდან დაიხია და რკინის გზის ორივე მხარეზე ახალი პოზიციები დაიჭირა. ბუზულუკის რაიონი: სადგურ ამტონოვკის აღმოსავლეთით ბრძოლაა. ჩისტოპოლის რაიონი: ჩვენმა ჯარმა ჩისტოპოლიდან 25 ვერსის მანძილზე დაიხია. დანარჩენ ფრონტზე მზვერავები მოქმედებენ და ცეცხლის სროლა. პარიზი. აპრ. 24. სოციალისტურმა კონგრესმა ხმის დიდი უმეტესობით უარჰყო მე 3 ინტერნაციონალთან შეერთება. [illegible]. აპრ. 24. ლონდონის გაზეთი „დეილი-ექსპრესი“ იუწყება, რომ მდგომარეობა ქალაქში ჯერ კიდევ საშიშია. რევოლუციონური ელემენტები განაგრძობენ ენერგიულ მუშაობას. [illegible]. აპრ. 24. მრავალრიცხოვან მიტინგზე კომუნისტებმა, [illegible] და წითელ არმიელებმა სიტყვები წარმოსთქვეს და მოუწოდეს, დაამარცხონ კოლჩაკი. თამბოვში რევოლუციის დაწყების ცნობამ გამოიწვია „ურას“ ძახილი. სიმფეროპოლი. აპრილის 23. წითელმა ჯარმა თეოდოსია დაიჭირა. [illegible] აპრ. 24. „[illegible] ვედომოსტი“ გადმოგვცემს, რომ ერევნის გუბერნიაში საქონელი სრულიად არ არის. განსაკუთრებით დიდი საჭიროება ქარხნის ნაწარმოებზე. სამგზავრო და ეკონომიური ცხოვრება დარღვეულია. მოედიან ამერიკელ ვაჭარ-მრეწველები და დიდ კაპიტალს ხარჯავენ მრეწველობის აღსადგენად. მთელ გუბერნიაში სახალხო ძალზე გადაცვლილებულია.

იტალიური პრესის ცნობები.

მტრული მოქმედების შეწყვეტის წინ ავსტრია უნგრეთმა ითხოვა ზავი 14 პუნქტების საფუძველზე, მაგრამ ვილსონმა უპასუხა, რომ ეს თხოვნა ნაგვიანევია, რადგან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

ლოიდ ჯორჯმა ორლანდოს ინახულა. ამას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: იტალიელებმა განაცხადეს: მათ არ შეუძლიათ დაიჯერონ, რომ ლოიდ ჯორჯმა და კლემანსომ ვილსონის წინადადება მოიწონეს.

ორლანდოს პასუხი საზოგადოებამ დიდის ღელვით განიხილა. ჯერჯერობით იტალიელები კეთილგონიერებით უყურებენ საქმეს. ამერიკის წარმომადგენლები უარს ამბობენ ამის შესახებ რაიმე განმარტების მიცემაზე და იმედს გამოსთქვამენ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საქმე მოგვარდება.

რადგანაც იტალიამ თავისი წარმომადგენლების გაწვევის სურვილი გამოსთქვა, საბჭომ დაიწყო გერმანიასთან ზავის შეკვრის გეგმა ავსტრიის პროექტის განხილვა და დღიურ წესრიგში აღნიშნული საკითხები შემდეგ სხდომისთვის გადადო.

იტალია თანახმა არაა, რომ სამედიატორო სასამართლო დაანიშნოს ფიუმეს ნავთსადგურის ნეიტრალიზაციის და სხვა საკითხების შესახებ.

გემი „ჯორჯ ვაშინგტონი“ დანიშნების გეგმით ბრესტიდან მაისის 1 გავა და ამერიკაში მაისის 20 უნდა დაბრუნდეს, თუმცა სავალდებულო, რომ პრეზიდენტი ივნისის 1-ლამდე წავიდეს.

იტალია თანახმაა ადრიატიკის საკითხზე კომპრომისზე წავიდეს. „პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ იტალია განაგრძობს ფიუმეს მოთხოვნას, მაგრამ თანახმაა ლონდონის ხელშეკრულების გადასინჯვაზე, რადგანაც მოკავშირეებს სურთ სლოვაკებს დაუთმონ ხალხთა უფლებათა პრინციპის საფუძვლების თანახმად.

პრაღის გაზეთი პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკებს შორის შეთანხმების შესახებ ლაპარაკობს.

ახალი ამბები

პირველი მაისისათვის. ქუთაისს, 27 აპრილს საღამოს სრულ ექვს საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდება საგანგებო კომისიის გაფართოებული კრება. უნდა გამოცხადდენ წარმომადგენლები მუშათა კავშირების საკრეტარიატის, ყველა რაიონულ საპარტიო კოლექტივებისა, ქალთა ორგანიზაციის და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისაგან. სიდიადე და მნიშვნელობა პირველი მაისის დღესასწაულისა გვავალებს ყველა წარმომადგენლებს სამაისო კომისიებში დავესწროთ ამ კრებას. კრება დაიწყება სრულ ექვს საათზე. სამაისო კომისია.

◆ **ინგლისელ ექიმის მკვლელები.** როგორც დამნაშავენი ხსენ. სასწავლებელში მიჰყავდათ, მათ გაქცევა დააპირეს, რომლის დროსაც მოკლულ იქნენ ბარამიძე დ ცინცაძე, ხოლო ძლენტაძე და მერძანაშვილმა დამალვა მოასწრეს. ერთი მოთავარი დამნაშავე ამ საქმისა პაიჭაძე, რომელიც ექიმის მოკვლისთანავე გაიქცა, როგორც იტყობინებიან უკვე შეიპყრიათ ნიხატურში.

◆ **კასპიის ზღვაზე** ინგლისური ცნობით ბრძოლა მოხდა ინგლისელების და ბოლშევიკების სამხედრო გემებს შორის. ბოლშევიკების ყუმბარმტყორცნელი გაიქცა. ბრიტანეთის აეროპლანებმა ასტრახანში ყუმბარები დაუშინეს ბოლშევიკების გემებს.

◆ **სარაიონო მდივნების საყურადღებოდ.** მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარული რეფორმისათვის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ყველა ის პირნი რომელთაც თხოვნა აქვთ შემოტანილი თბილისის გუბერნიის ფარგლებში სარაიონო მდივნების თანამდებობაზე, უნდა გამოცხადდნენ მიწათმოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22), ხუთშაბათს, 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე. ქუთაისის გუბერნიის სარაიონო მდივნების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული დრო და ადგილი.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტრომ** წარმოდგენა მისცა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რათა უკანასკნელმა ორი კვირის განმავლობაში გადასცეს სამინისტროს ის ადგილები, რომელიც ეკავა სამეურნეო საზოგადოებას და სახელმწიფოს კუთვნილება კი არის. ასეთი ადგილებია 6 ხან. დესეტინა მუშტაიდთან და ალექსანდრეს ბაღში სამეურნეო საზოგადოების შენობა.

◆ **ყარსის ოლქის** სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ყარსის ოლქში ნებადართულია უნებართვოდ შესვლა.

◆ **ბოროტ-განმზრახველთა მოკვლა.** 25 აპრილს ღამით [illegible] რაიონში კრასნოგორის ქუჩაზე სახალხო გვარდიელებმა შეიპყრეს 4 საეჭვო პირი. გზაზე, როცა ისინი კომისარიატში მიჰყავდათ ვინაობის გამოსარკვევად, მათ გაქცევა დააპირეს. სახალხო გვარდიელებმა მოჰკლეს სამი, ერთი გაიქცა. მოკლულნი აღმოჩნდნენ: რ. მარკაროვი, მეორე რაიონის სახალხო გვარდიელი, რომლის გვარი ჯერ გამოურკვეველია, მე-7 კომისარიატის ყოფილი მილიციონერი, სახელად სიმონი, გვარი არ არის გამორკვეული. მოკლულთ აღმოაჩნდათ 3 ტომარა და 7 გასაღები.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** აცნობა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს, რომ მინისტრის ბრძანებით შედგება კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს, თუ რამდენად მართალია ის ცნობა, ვითომც პოლკოვნიკ წერეთელს საქართველოს საზღვრებზე შეპყრობილი ბოლშევიკები ყაზახებისათვის გადაეცეს. სამინისტროს კანცელარია სურვილს გამოსთქვამს, რომ სასამართლოს ბრალმდებელმაც აწარმოვოს [illegible] გამოძიება.

ამავე საქმის გამო სამინისტრომ წინადადებით მიმართა დუშეთის მაზრის საერობო გამგეობას, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ყოველივე ზომები საჭირო ცნობების შესაკრებად,—თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს აღნიშნული ცნობა.

1 მაისისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ მსმენელთა კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიიღოს 1 მაისის დღესასწაულში. დღესასწაულის დღეს (ხუთშაბათს) უნივერსიტეტის შენობაში დილის 10 საათზე გაიმართება მიტინგი და შემდეგ რევოლუციონური სიმღერებით და დროშით სტუდენტობა გაემართება ქალაქის ცენტრისაკენ დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **ლექტორთა კრება.** დღეს, დილის 10 საათზე, სასახლეში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა საერთო კრება, განყოფილებების მუშათა სექციების წარმომადგენლების თანადასწრებით. განსახილველია ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხები. ყველას დასწრება სავალდებულოა; უწყებები არ დაეგზავნება წევრთ.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მუშათა განყოფილებაში (წმ. ნინოს რაიონი) დანიშნულია მოკლე ლექციები: 1) გ. ნათაძის „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის უძველესი ისტორია“, 2) [illegible] „საქართველოს მწერლობის ისტორია“, 3) ი. [illegible] „ეკონომიური საკითხები“.

◆ **ილია ნაკაშიძე.** დღეს, ქართული კლუბის თეატრში ილია ნაკაშიძე წაიკითხავს მოხსენებას ეპოქის საქართველოს დიდებულის მოგზაურობის და ხალხთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. შესავალი თავისუფალია ყველასათვის. მოხსენება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ქუთაისი.

ქუთაისს, 27 აპრილს, დილის 10 საათზე, შესდგება მე-4 რაიონის კოლექტივის სხდომა.

— დღეს, 4 საათზე, დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა მე-4 რაიონის კოლექტივის კრება საკუთარ ბინაზე.

— დღეს, 27 აპრილს დილის 11 საათზე [illegible] კლუბში დანიშნულია საზოგადო კრება დეპოში და მთავარ სახელოსნოში მუშა მოსამსახურეებისა. დღის წესრიგში: 1) მოხსენება დელეგატების მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ; 2) მოხსენება შრომის კომისიისა, ცენტ. კომიტეტ. და შრომის სამინისტროსი; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა სასურსათო კომიტეტისადმი.

— დღეს, დილ. 10 ს., მუშათა კლუბის ბაღში (პლეხანოვის პრ., 65), შესდგება წლიური კრება საგ.-სამრ. მოხ. პროფ. კავშირის წევრებისა.

აპრილის მზე.

1. ტრიოლეტები.

მზერს ცეცხლით შემოსავს სხივთ აუზის ანთება,
და ფერს იცვლის ფირუზი ოქრო-გამორეული.
ტბა ზურმუხტად იქცევა, ცვარი—ბრილიანტებად.
მზერს ცეცხლით შემოსავს სხივთ აუზის ანთება,
და ლურჯთვალა აპრილი ტყეში შემობრძანდება,
ვით სძებნიან ფიქრებში ოცნება შერეული.
მზერს ცეცხლით შემოსავს სხივთ აუზის ანთება
და ფერს იცვლის ფირუზი ოქრო-გამორეული.

მზის მარცვლები მიწაზე თესლად დაიფანტება.
აპრილდება ხეები ყვავილ-შემოსილი.
ყვავილებზე სხივები შეისკვნება ბაჭყებად.
მზის მარცვლები მიწაზე თესლად დაიფანტება,
ზოგან ლალად დაიცვლება, ზოგან ალმასებად.
აფარჩხდება ყოველგან ველი სხივ-დაფერებული.
მზის მარცვლები მიწაზე თესლად დაიფანტება.
აპრილდება ხეები ყვავილ-შემოსილი.

ღამით მზე დაიძინებს. მთვარე დადარაჯდება.
სალამს ეტყვის ვარსკვლავებს ფიქრი ღამ-მორეული.
ვარსკვლავთ შუქი იფეთქებს ათას ვარიანტებად.
ღამით მზე დაიძინებს. მთვარე დადარაჯდება.
გაცოცხლდება მკვდარი დღე მოლანდებულ ლანდებად.
და ჩუმ ცას ეტრფიალება ბულბულისთვის მთვარეული.
ღამით მზე დაიძინებს. მთვარე დადარაჯდება.
სალამს ეტყვის ვარსკვლავებს ფიქრი ღამ-მორეული.

---

2. ცისფერი შუქი.

იყო ზამთარი. შენ აპრილი გესიზმრებოდა.
მაგრამ თითოეულს თან მოჰქონდა ახალი სევდა.
და შენი სული ჩემი მზიური ლექსით თბებოდა,
და შენს ოცნებას მზის იმედი ახალისებდა.
დღეს აპრილია. და მზის კაბა ფერის ნახვევი,
ათასნაირად ფეფრავს აპრილიან მთებს.
ზღვა კი როგორღაც მზის სამოსს ფერის ნახვევა,
და ბრწყინვალე თეთრ ყვავილებს აპრილიანტებს.
მე შენს თვალთაგან ცისფერი ია მეალერსება,
და გრძნობას თანხმად ცისფერი შუქით მეცხება,
და ჩვენს გარშემო ჩამქრალ სანთლებს აპრილი ანთებს.

ხ. აბაშელი.

თბილისის ცხელი მადნეული წყაროები

თბილისი ბუნების დაფუძნებული სიმდიდრით დაჯილდოებულია. ეს სიმდიდრე გახლავთ მადნეული, გოგირდის ცხელი წყაროები, რომლებიც ხევ-აბანოს [illegible] ძირში (აბანოს ჩვენებით) გამომდინარეობენ დამახანას ხევის პირადა და იქ გაშენებული აბანოებისთვის იხმარებიან. მეცნიერ გეოლოგის აკადემიკოს აბიხის გამოკვლევით (1866—1868 წ.) მის მიერ შედგენილ გოგირდის წყაროების რუკაზე სულ 55 ცხელი წყარო აღნიშნული, რომელთაგან: 1) 25—ქვის ლარებით და ავზებით არიან მოწყობილნი; 2) 6 სრულიად მოუწყობელი არიან და 3) 24 დედამიწის ნიადაგზე თავისუფლად ამოსქდებიან.

აბიხის გამოკვლევის შემდეგ მათი თვისებები: სიცხოვლე, ქიმიური რაოდენობა (დებიტი), მინერალიზაცია თითქმის არაფრით არ შეცვლილან და ისევ ძველ მდგომარეობაში არიან. წყაროები პატარა მოედნის სხვადასხვა ადგილებიდან—კლდის ნაპრალებიდან ამოჩუხჩუხებენ. ეს მათი სახელდობ მოწმობს, რომ მათ ყველას ერთი სათავე აქვთ. ბუნებრივად ცხელი, სხვადასხვა მადნეულობით, უფრო კი გოგირდით გაჯერებული თბილისის წყაროების წყალი, აგრეთვე ცივიც, (რომლებიც ცივი გოგირდის წყარო აბიხს არა აქვს რუკაზე აღნიშნული) ცნობილია როგორც სამკურნალო თვისების მქონე წყალი და ხალხი უკვე დიდი ხანია რაც წყლის ამ თვისებით სარგებლობს. ბევრს გამოჩენილ ევროპიელ მოგზაურთ თავიანთ აქ ყოფნის დროს წყაროების მკურნალური თვისებებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიუქცევიათ და თავიანთ ნაწარმოებებში აღუნიშნავთ. მაგალითად მოგზაურნი: ლაპრიოტი, ტურნეფორი, შარდენი და სხ. აღნიშნავენ რა თბილისის ცხელი წყლის წყაროებს, როგორც უძველეს [illegible], დასძენენ ცნობებს წყაროების მკურნალური თვისებების შესახებაც. დედამიწის ზურგზე ასეთი თვისების მქონე ბუნებრივად ცხელი და ამასთანავე მადნეული წყალი ბევრგან არ მოიპოვება, მაგრამ სადაც კი არის, იქ წყალს შესაფერისი მეცნიერული და ტექნიკური მოვლა და პატრონობა აქვს. მაგ. გერმანიაში იქაური მადნეული წყლების კურორტები განთქმული იყვნენ მთელს დედამიწის ზურგზე, მათ ყოველის მხრიდან მრავალი ავადმყოფი ეტანებოდა და საერთაშორისო კურორტების სახელი ჰქონდათ დამსახურებული. [illegible], ხელკა, ყველაზე წარმატებული საკურორტოების მხრივ მეცნიერული მკურნალობით და [illegible] წარმოებით, გერმანიას ყოველი სახელმწიფოს კურორტების შემოსავლის ხაზინა აძლევდნენ. როგორც გერმანიას ისე სხვა სახელმწიფოების კურორტების შემოსავალს ხაზინა აძლევდა დიდი სახელმწიფოთა ხარჯთაღრიცხვის შემოსავალში. მეცნიერული მკურნალობით და ბალნეოლოგიური წარმოებით სხვადასხვა ნაირ კურორტებზე გერმანიამ და მასთან სხვა სახელმწიფოებმაც კაცობრიობას დიდი სარგებლობა მოუტანეს.

თუ მადნეულობათა სიმდიდრის მოხმარების საქმე ისე სარგებლიანად და სასარგებლოდ იყო დაყენებული იქ, ევროპის სახელმწიფოებში—სამწუხაროდ ისე არ იყო და არ არის ჩვენს თვისრებული ბუნებრივი სიმდიდრით დაჯილდოებულ საქართველოში. რა გვარ მადნეულ სიმდიდრეს არ შეხვდებით ამ პატარა კუთხეში! ნარზანი, ნაფთა, ბორჯომის წყალი, გოგირდის ცხელი წყალი და ბევრი აგრეთვე სხვადასხვა კაცხის, ეკლის, და შემადგენლობის წყლები, აქ, ამ ბუნების უხვი ხელით დაჯილდოებულ მხარეში წალკოტს აშენებენ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ ამდენ წარსული ისტორიის გარემოებათა წყალობით, ჩამოთვლილ სიმდიდრის ნაწილი გაპარტახებულ-დავიწყებულია და ნაწილი კი იმით მდგომარეობაშია, რომ მათი შესაფერისი მოხმარება — სარგებლობა, შეუძლებელია. როგორც გოგირდის ცხელი წყაროები ისე საქართველოს დანარჩენი აღნიშნული მადნეული სიმდიდრე არ არის მეცნიერული წესით დამუშავებულ-შესწავლილი და ამ მხრივ და აგრეთვე ტექნიკურადაც მათი მდგომარეობა შეუწყნარებელია, გოგირდის ცხელი წყლის აბანოები ხომ ამ ბოლო დროის, ისეთ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იყვნენ რომ, იქ, აბანოებში, ეადმყოფები სენის მიღება იყო მოკვლეთაბული და მთელ ქალაქში ავრცელებდნენ ტიფს და კანის სხვადასხვა ავადმყოფობას.

რესპუბლიკის აღმაშენებლობით საქმიანობამ ბუნების მადნეულ სიმდიდრეთაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და შესაფერისი კანონი გამოსცა, რომლითაც ყოველივე წყალი, ტყეები და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე სამკურნალო საქმისთვის გამოსაყენებელი რესპუბლიკის კეთილმოწყობით იქმნა აღიარებული.

დასახელებულ კანონის ძალით მიწათმოქმედების სამინისტრომ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლთა შერეული კომისია შესდგა, რომელმაც ორი თვის განმავლობაში თბილისის გოგირდის ცხელი წყლის აბანოები აღწერა, ყოველის მხრივ აღწერა და შეაფასა. რესპუბლიკის ხაზინა აბანოებს დასახელებულ კომისიის შეფასებით გადაიხდის და შემდეგში თვით სახელმწიფო მოუვლის მათ. იმედი გვაქვს, რომ თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიაში—მათი კერძო მესაკუთრის ხელიდან რესპუბლიკის კუთვნილებაში გადასვლით—ახალი ახლა მაშენებლობითი ხანა დაიწყება და გოგირდის აბანოები მეცნიერულად და ტექნიკურად გეგმიანი წესით და რიგით მოეწყობიან, რომ ჯერ ერთი ავადმყოფი თუ კავკასიის ერებმა, სხვა შორეულმა ერებმაც იგრძნონ მათი მკურნალობითი მნიშვნელობა და მერე რესპუბლიკას მოუტანოს ის ეკონომიური სარგებლობა, რის მოტანაც მათ შეუძლიათ.

რა უნდა გააკეთოს რესპუბლიკამ აბანოებისათვის, რომ მათ ჯეროვანი დანიშნულება შეასრულონ?

აბანოების მოსაწყობად შემდეგი გეგმა რომ განხორციელდეს, მეტად სასარგებლო საქმე იქნება გაკეთებული:

1) ყველა გოგირდის წყაროების წყალი, ცხელია იგი თუ ცივი, ერთად უნდა შეერთდეს და ორ ნაწილად გაიყოს.

2) ერთი ნაწილი ცხელი წყლისა გადმოტანილ უნდა იქმნას ქ. თბილისის შუა გულში, მაგ. მადათოვის კუნძულზედ და იქ აშენდეს დიდი, იაფ-ფასიანი, სახალხო, ტექნიკურად და მეცნიერულად სრულყოფილად მოწყობილი აბანოები, რათაც ხალხმა ადვილად და დაუბრკოლებლივ უნდა ისარგებლოს.

3) მეორე ნაწილი ცხელი წყლისა უნდა გადაქაჩულ იქნას ბოტანიკურ ბაღში და მოაწყონ იქ გაშენებულ ბალნეოლოგიური სადგური, რომელიც ევროპიულად მოწყობილი დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხის ჯანმრთელობას და სახელმწიფოს—ეკონომიურად.

4) ძველ მოედანში საწარმოოდ აბანოები კერძო მოიჯარადრეებს იჯარით უნდა გადაეცეს, რომ მათი წარმოება მარტო ვეროვნულ ექსპლოატაციას და სპეკულაციას არ ემსგავსებოდეს. სახლეულდა აბანოები ან ერობას, ან ქალაქს, ან რაიმე ინტელიგენტთა საქციონერო ასოციაციას გადაეცეს, რომ აბანოების საქმე ჯეროვნად მოეწყოს და ხალხმა უშიშრად და უხიფათოდ დაიკმაყოფილოს თავისი სანიტარული მოთხოვნილება—ტანის სისუფთავე. კერძო მოიჯარადრეები, როგორც წარსულში ისე მომავალში მხოლოდ თავიანთ ჯიბის ინტერესს დაიცავენ, აბანოებს არას შეინახვენ, სახელმწიფოს კი დიდათ აზარალებენ.

აღნიშნული გეგმის განხორციელებას რაოდენობით, ფული და შესაფერი ტექნიკური მასალა დასჭირდება. სპეციალისტ ტექნიკების აზრით ყველაფერი რაც კი საჭიროა აღვადგინოთ ამჟამად და არც ისე ძვირად დაჯდება, რომ მოუხერხებელი იყოს ეკონომიური კრიზისისა, ვერ შეიძლებოდეს ეხლავე განხორციელდეს. შემდეგობაში მასალებია ისიც, რომ ცხელ მადნეულ წყალს გადაქაჩვა გადმოტანისათვის ხომ არა ევნება რა? სპეციალისტების დამოწმებით წყალს არაფერი ხიფათიანი არ მოელის—არც სიცხის დაკლებით და არც სხვაგვარი თვისებების დაკარგვით, პირიქით წყაროები თუ ტექნიკური მეცნიერების ჩვენებით და ჯეროვანი გადამუშავებით შეერთდებიან, როგორც მეცნიერ პირნი ამტკიცებენ, წყალმა რაოდენობით უნდა იმატოს და სიცხეშიც იმატოს. ეს ისე მოხდება იმიტომ, რომ ეხლა ძალიან ბევრი ცხელი წყალი უსარგებლოდ იკარგება, ხანამ დანიშნულებას მიწვდეს ნელდება და მისი მინერალიზაცია სუსტდება.

ხალხის ხაზინაში შემოსავლის უნარი და პრაქტიკული მნიშვნელობა, იმედია, ამ საქმეს ისე მოაწესრიგებენ, როგორც ამას რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვენ.

ექიმი ი. ლომთური.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია

15 აპრილის დილის სხდომა.

ამხ. ჭილაძემ წაიკითხა მოხსენება ბაზრის მოწესრიგების შესახებ. მოხსენება ცალკე დაიბეჭდება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ნარჩია. მთავარ დებულებებს, რომელიც წამოყენებულია მომხსენებლის მიერ, მე ვეთანხმები, მაგრამ ისინი შეეხებიან მხოლოდ მომავალ მოქმედებას. საჭიროა გამოთქმულ იქნას აზრი იმის შესახებ, თუ რა ვქნათ დღევანდელ კონკრეტულ პირობებში. მე ვფიქრობ, რომ გამორკვეულ უნდა იქნას პროფესიონალურ საბჭოების და შრომის ბირჟის ურთ-ერთ დამოკიდებულება. შემდეგ-

---

გრძნობა მიბრძანდება. ღმერთ გონება მეფობს ყველგან, ადამიანი ფრთხილი არსებათა აღიარებული, ღვთის მაგიერ გონება გაღმერთდა, მხოლოდ და მხოლოდ იმას უჯერიან, რასაც გონება დაამოწმებს. „მე ვაზროვნებ, მაშასადამე, მე ვარსებობ“, ამბობს დეკარტი (1596—1650 წ.წ.).

შეირყა გერმანიის ცხოვრებაც, მქუხს შილერი, ლექსთმოქმედებს გოეთე, რომლის გენიალურ არსებაში თავს იყრის მთელი მაშინდელი აზროვნების მთავარი ნაკადულები.

გოეთეს „ფაუსტი“-ს ფიგურა, რომელშიაც თავი მოიყარა მაშინდელი აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობამ და ამ წერტილიდან იგი იქცა უდიდეს მდინარედ, თვით ზღვადაც კი.

რაკი პიროვნებამ შესძლო წელში გამართვა და თავისი თავი ყოვლის შემძლედ აღიარა, მისი მხრივ სრულიად ბუნებრივი დ აუცილებელი იყო ექმნ ფაუსტის პირით, შემდეგი მისწრაფებათა აღიარება: „ადამიანი უნდა მიწვდეს სამყაროს ყოველ საიდუმლოებას, გაიგოს მისი შინაგანი შენობის აზრი და მიზანი, უნდა იცოდეს ბუნების ცვლილებათა რაობა, უნდა შეიგნოს ქვეყნიერების მამოძრავებელი ყოველივე ძალა, დაიტიოს თავის არსებაში მთელი დაუსრულებელი სამყარო, შეიცნოს სიცოცხლის სათავე, ქმნილებათა დასაწყისი, სიცოცხლის ოწინარი, ცა და ქვეყანა“.

აი ამ მისწრაფებებით არის გამსჭვალული ფაუსტი, რომელიც თავის დროის მოაზროვნეთა შორის მიუცილებლივ ტიპიური არსებაა. „ის ეძებს აბსოლუტურს, გარდუვალს, უსაზღვროს *), მაგრამ მისი ძებნა ამაო, ვერ დააკმაყოფილა ვერც მეცნიერებამ და ვერც მაგიამ, ტყუილად მიჰყავდა ეშმაკს ხელი. და ეს იმიტომ, რომ ფაუსტი მეტაფიზიკოსია, მეცნიერებას არა-მეცნიერულ მოთხოვნილებას უყენებს. აი რას ამბობს გოეთეს შემოქმედების კარგი მცოდნე იგივე ა. შახოვი: არსებობს სამგვარი მსოფლმხედველობა: პირველყოფილი, ბავშური, გულუბრყვილო სარწმუნოებრივი, რომელიც ერთიანად ეყრდნობა სარწმუნოებას და უარყოფს მეცნიერებას. მეორეგვარი შეხედულებაა მეტაფიზიკური, შუაში მდგომი, რომელიც ცდილობს შეარიგოს სარწმუნოება და მეცნიერება, რწმენა და ცოდნა, უფრო სარწმუნოებრივ და მეცნიერულ კითხვებს. დასასრულ არის მესამე შეხედულება, რომელიც ერთიანად უარყოფს სარწმუნოებას დაემყარება მეცნიერებას. (163 გვ.).

ფაუსტი შუათანა აზროვნების წარმომადგენელია, ის ცდილობს შეარიგოს მეცნიერება და სარწმუნოება. ფაუსტი თავისი დროის კაცია, რომელსაც ერთის მხრივ შეუგნია ახალი ფაქტორის—გონების ძალა, მაგრამ მეორე მხრივ მასში ჯერ კიდევ ძლიერია საშუალო საუკუნოების თეოლოგიური გავლენა. ამიტომაც ის გაეხვევა საშინელ ქსელში და მის არსებას მოიცავს უსაზღვრო ურწმუნოება, უსასრულო პესიმიზმი. გონება ძალუძი მიაქვს მას ახლა ყოვლის შემძლეთ, ვეღარ შეჰპარია მის ძლიერებაში, გული გაუტყდა მასზე. ამავე დროს ის ხედავს საფრანგეთის რევოლუციის თავ ჩარჩენილში დაბრას და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მის ყოყმანობას.

ვარლამ ხუროძე.

(დასასრული იქნება)

---

*) ციტატები მოგვყავს ა. შახოვის ცნობილ წიგნიდან: „Гёте и его время“, გვ. 162, გამ. 1903. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაზღვევა.

ა. ირემაშვილი. შრომას და კაპიტალს შორის წინააღმდეგობა არსებობს. შრომის ნაყოფიერების ზრდით, მაგრამ კაპიტალი ხომ ჩვენ ხელში არ იქნება? ეს ხომ მუშათა კლასისათვის საზარალო იქნება? ამიტომ მთავრობა უნდა ჩაერიოს წარმოების მოწესრიგებაში და გააძლიეროს ორგანიზაციები. მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი ეკონომიურ მხარეს. ჩვენში სასოფლო მეურნეობაში ჯერ კიდევ პრიმიტიული იარაღებია, საჭიროა მუშაობის მოწყობა მანქანების საშუალებით. ეს მთავრობამ უნდა გააკეთოს კოოპერატივების, ერობათა და თვითმართველობათა დახმარებით.

ქედიაქიანი (ზაწურაძე). პოლიტიკური პარტიები უნდა ეხმარებოდნენ პროფესიონალურ კავშირებს. ყველაფერი განაგებენ, როგორც პოლიტიკას, ისე ეკონომიურ საქმეებს. მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ დღეს არიან სახელმწიფოს-ტური რეჟიმის და მუშათა ორგანიზაციებმა უნდა აიღონ თავის ხელში წარმოება. უნდა გაიყვანოს და ამიტომ ფულები უნდა დაიწყოს და სოციალიზმის განხორციელებას უნდა შეუწყოთ.

ბახტაძე. მთელი ჩვენი ძალებით უნდა მივმართოთ საწარმოო ძალების აწევისაკენ. საჭიროა მასალების მომზადება ... ლის მიერ წამოყენებული დებულებები. შემდეგ ორატორი ეხება სინდიკალისტ ქვესაქონის მოსაზრებებს და ამტკიცებს მათ. რიგლი საფუძვლებით არღვევს მათ. საფრანგეთში და იტალიაში სინდიკალისტები, ამბობს ორატორი, 20 წლის ეკატაიძე ნაცადი ძალაუფლებრნენ, რომ წარმოება ხელში უნდა ავიღოთ, მაგრამ დღემდე მათ არ მიუღწევიათ არავითარი შედეგებისათვის. ჩვენ ვიცით მაგალითი, როცა თურეთის ზოგიერთ ქარხნებში მუშებმა ჩაიგდეს წარმოება ხელში, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მათ დაიწყეს გაყიდვა იარაღების და სხ. მასალების.

ამიერ-კავკ. პროფესიონალური კავშირთა გაერთიანების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბახტაძე. ამიერ-კავკასია წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ერთეულს. ამიტომ ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა ფედერაციის მიზანი უნდა იყოს ამ ტერიტორიაზე მუშათა მოძრაობის გაერთიანება. სამწუხაროდ, პირველმა ცდამ ამ მხრივ უნაყოფოდ ჩაიარა. პროფ. კავშირთა ამიერკავკასიის ცენტრი ერთი ნაწილის ცენტრი თფილისში, მაგრამ ფაქტიურად გვქონდა ორი ცენტრი: თფილისსა და ბაქოში. არ იყო ერთი ცენტრი. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, მეტად საზიანოა მუშათა კლასისათვის. საჭიროა გამოინახოს საშუალება ნამდვილ გაერთიანებისა. ყოველგვარი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ შევქმნათ კონტაქტი ამ ცენტრებს შორის, დღეს, როგორც ვიცით, არის ორი ყრილობა: ერთი თფილისში, რომელიც აერთებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კავშირებს, მეორე ბაქოში, რომელიც წარმოადგენს ბაქოს და შესაძლებელია კასპიის იქითა მხარეს და დაღესტანს. ეს ყრილობები შექმნიან თავიანთ ცენტრებს. ჩვენის აზრით ეს ცენტრები უნდა გაერთიანდნენ ფედერატიულ ან სხვა რომელიმე საფუძველზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ დაადგინა: მომავალ საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრს დაევალოს ამიერ-კავკასიაში მუშათა მოძრაობის და ცენტრების გაერთიანების საქმის მოგვარება, კერძოთ ბაქოსთან რაც შეიძლება მჭიდრო და ცოცხალი კავშირის დაჭერა.

სადამოს სხდომაზე რ. არსენიძემ გააკეთა მოხსენება მომენტზე და პროფესიონალურ კავშირთა მოძრაობაზე. მოხსენება ცალკე დაიბეჭდება.

16 აპრილის სხდომა.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ბიდოშელაშვილი, რომელიც ყრილობამ უკამათოდ დაამტკიცა. განიხილეს და დაამტკიცეს საქართველოს პროფესიონალური საბჭოების ცენტრის წესდება. ამ. რუხაძე აკეთებს მოხსენებას კავშირის ბეჭდვითი ორგანოს დაარსების შესახებ. ცოტა კამათის შემდეგ ყრილობა ადგენს დაევალოს მომავალ ცენტრს მიიღოს ღონისძიება ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის შესახებ. ყრილობამ გადაწყვიტა პროფესიონალური კავშირების წევრებს გადაწეროს ერთდროული გადასახადი 3 მან. გაზეთის სასარგებლოთ. სიტყვა ეძლევა ბაქოს წარმომადგენელს, რომელიც ბაქოს პროლეტარიატის ერთი ნაწილის დაბალიერ მისალმებას უძღვნის ყრილობას. ორატორი აღნიშნავს კრების ბაქოს პროლეტარიატის სოლიდარობას. აღნიშნავს იმ მღელვარებას, რომელსაც განიცდის ბაქოს პროლეტარიატი, თუ ბაქოელ კომუნისტები ამარცხებენ თფილისში ჩამოსვლას და ყრილობაში მონაწილეობის მიღებას არა იმიტომ, რომ საქართველოს პროლეტარიატთან კავშირის დაჭერა სურდათ, არამედ—უნდოდათ აქაც დარღვევა შემოეტანათ აქ. ბაქოელების ჩამოსვლა ლიანობა იმით კი არ უნდა აიხსნას, რომ მათ სავსებით ფული არ მიეღებინებინათ, არამედ—მათში ერთგვარი შიში ღიაბადა პირის-პირ შეხვედრისა საქართველოს პროლეტარიატთან, რადგანაც გრძნობდნენ რომ ყრილობაზე დამარცხდებოდნენ. ბაქოელის სიტყვის შემდეგ კრება ყურადღებით ისმენდა ... რეზოლუციებს. ყრილობამ მიიღო რა მისალმება ბაქოს პროლეტარიატის მშრომელების შესახებ, გადასცა კავშირის ... თავის წინა სხდომიდან მიღებულ რეზოლუციას. ყრილობა გამოხატავს სურვილს, რომ მუშათა მოძრაობის ღიდება და პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა, შესძლებს გაიმარჯვოს საქართველოს და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატში საერთო ტაქტიკა და ახლო მომავალში ისინი შეერთდებიან საერთაშორისო პროლეტარიატის დროშის ქვეშ“.

ყრილობამ აირჩია საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრის წევრები, რომელთაც სია ჩვენ გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

დასასრულად ყრილობის თავმჯდომარე ხომერიკმა, რომელმაც შემთხვევით სიტყვით მიმართა ყრილობის მონაწილეთ და აღნიშნა ამ ყრილობის როლი პროლეტარიატისას, რომელიც მოასწავებს საზოგადოების კლასებათ დაყოფას და განათლებულობის კაცობრიობის საერთო უფლებათ ... რიგისაგან. ყრილობამ ხანგრძლივი, მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ორატორი.

რკინის გზაზე

გაზეთ „ერთობის“ 67 №-ში 25 მარტის თარიღით ვაწყე „მოწყვლებულის“ ხელის მოწერით მოთავსებულია წერილი სათაურით „რკინის გზაზე“, სადაც აღნიშნულია 29 სექტემბრის 1918 წლის საფოსტო მატარებლის № 3 კონტროლიორის გოდერძის უკანონო მოქმედება. სამწუხაროდ, წერილის ავტორი არ ასახელებს არც თავის მისამართს და არც მოწმეებს. ითხოვს ხოლო, რომ ამ სურათის მოწმე მგზავრებმა შეატყობინონ თავიანთი მისამართი. მას მერმე თავიანთ ყურის ვიღებულობ და გაზეთის საშუალებით არავინ გამოხმაურებია.

ზემო აღნიშნულ წერილის ავტორს ვთხოვ ან „ერთობის“ საშუალებით, ან პირადათ მომაწოდოს თავისი მისამართი, ისე იმ პირების, რომელნიც ნამდვილ მოწმენი იყვნენ დასახელებული გოდერძის უკანონო მოქმედების, რათა საშუალება მქონდეს საქმეს მივცე შესაფერი მსვლელობა და დამნაშავე მიეცეს სათანადო სასჯელს.

მოძრაობის ნაწილის უფროსი აბელიშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 10 აპრილს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის კრება. განხილული იყო კითხვები. მოხსენება თფილისის კომ., მოხსენება ადგილობრივ, რაიონის რიგზეა, საგარეჯოს ქარხნის წარმომადგენლის კრებებზე დასწრების შესახებ, საზოგადო კრება, კოლ. მდივნის ჯამაგირის გადიდების საკითხი და კულტურული მუშაობა.

ხანამ დღის წესრიგს განიხილავდნენ, კრებამ—ერთობის უნანზე სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გახსნაზე დასასწრებლად გაგზავნა წარმომადგენელი. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა გასული კრების ოქმი. კრებამ მოისმინა თფილისის კომიტეტის წევრის ამიერ-კავკასიის პროფ. კავშ. კონფერენციის, პროპაგანდისტებისა და ქალაქის თვითმართველობისაგან. შეტაკების შევსების შესახებ მოხსენება, მსჯელობაში და გადავიდა შემდეგ კითხვაზე.

მეტალისტების წარმომადგენლების მოხსენებიდან ირკვევა, რომ პარტიული მუშაობა ქარხნებში გამოცოცხლებულა—იმართება საქმეები, რომლებსაც ადგილებს პარტიულ კლუბები, სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებები და კლუბების მოწყობის საქმეს. ვინაიდან საზოგადო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიამ დღემდის ვერ მოახერხა რევიზიის მოხდენა, და რაიონისთვის კი საჭიროა გამოირკვეს რა მდგომარეობაშია ანგარიშის საქმე, კრებამ თავის მხრით აირჩია პარტიის წევრებიდან სარევიზიო კომისია, რომელიც საზოგადო კრების მიერ არჩეულ სარევიზიო კომ. წევრ. ერთად გამოარკვევს რაიონის ფინანსიურ მდგომარეობას. ვინაიდან საგარეჯოს ფაბრიკის წარმომადგენელი კოლექტივის სხდომებს იშვიათად ესწრება, კრება ადგენს კოლექტივის მდივანს, წინადადება მისცეს ხსენებულ ფაბრიკას—გამოგზავნოს კოლექტივში სხვა წარმომადგენელი. კოლექტივის მდივნის ჯამაგირის გადიდების შესახებ საკითხი კრებამ გადადო კოლექტივის ფინანსიური მდგომარეობის გამორკვევამდე. საზოგადო კრების მოწვევისა და კულტურულ მუშაობის შესახებ საკითხები გადაიდო მომავალი კრებისთვის.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ს. ამბალა. 7 აპრილს ადგილობრივ სკოლის შენობაში შესდგა ადგილობრივ სოც. დემოკრატიულ ორგანიზ. წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: საწევრო გადასახადი, მაპლიტონიკა და ცეკვები. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. კ. ხაშხოძე, კრებას დაესწრო გორის წარმომადგენელი და სამაზრო კომიტეტის რწმუნებული ამხანაგი კაკაბაძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა ამჟამინდელ პარტიულ მუშაობის შესახებ და ვრცლად შეეხო საჩქაროდ გადაწყვეტის საკითხს. კრებამ გადაწყვიტა დაადგინა, რომ გავრცელდეს შემდეგი და აირჩია სარევიზიო კომისია. საწევრო გადასახადის გადიდებაზე მუშებზე კრებამ უარყოფითად უპასუხა, ვინაიდან წევრთა უმრავლესობა მუშებს გარემოებრივად და თავიანთი საფრინველ მოთხოვნებით მაინც საწევრო გადასახადის გადახდის ნაწილი. ბიბლიოთეკისთვის დაქირავებულ იქნა ოთახი და გამოწერილი გაზეთები. X.

მუშათა შორის

დ ხანჩაკი. აქ არსებობს ერთი ხელოსნური წყლის საქაჩავი, რომელიც წყალს აწვდის მთელ საფეხურს. წყალს აქაჩავენ მხოლოდ ორი კაცი; საქმე დიდ ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს. ამიტომაც არ არსებობს რიგი ხანიის სამუშაო დღე. ხშირათ უხდებათ მუშაობა ოცდა ოთხი საათის განმავლობაში. საჭიროა ამ მუშებს მიეცეთ საკუთარი ბინა, შეშა და ნავთი, აგრეთვე საჭიროა მუშათა რიცხვი გადიდდეს და მოეწყოს ისე, რომ თითო მუშა 8 საათზე მეტს არ მუშაობდეს. იმედია შოთრანსის წარმომადგენლები მიაქცევენ ზემოხსენებულ მუშების მდგომარეობას ყურადღებას და მათ მუშაობის პირობებს გაუმჯობესებენ.

ება გარ.

[illegible]. ... ქარხნის მუშებს, როგორც ჩვენ წინათ აღვნიშნეთ, მოთხოვნილება ჰქონდათ წაყენებული მეპატრონეებთან: მოითხოვდნენ ჯამაგირების გადიდებას 150 პროც. და ანგარიშის გაწმენდის დათხოვნილ მუშებთან. ეს მოთხოვნილებები გამოწვეული იყო მუშების დღევანდელი უკიდურესი მდგომარეობით (დღეში დებულობდნენ 17—22 მანეთს). მოლაპარაკების დაწყებით შრომის კომისარი, საქმე მშვიდობიანათ გათავდა. მექარხნემ მოუმატა 100 პროც. და აღუთქვა, თუ სხვა ქარხნებში ჯამაგირები მეტი აღინიშნა, ამ შემთხვევაში დაუმატოს 50 პროც. მოუმატოს. დათანხმდა აგრეთვე დათხოვნილ მუშების ანგარიშის გასწორებაზეც, რომელნიც დათხოვნილი ყოფილან მუშტის შემდგომ.

ხადიას შვილი.

პროვინცია

ოზურგეთი. მარტში ოზურგეთში გადასახადთა ინსპექტორის მიერ მოწვეული იყო თათბირი, რომელშიაც მოწვეული იყო წარმომადგენლები ერობის, ქალაქის, ბანკების, კოოპერატივების, საკრედიტო ამხანაგობათა და გურიაში არსებულ ყველა პოლიტიკური პარტიათა ცენტრალური ორგანოთა.

კრების თავმჯდომარემ გადასახადთა ინსპექტორმა აღნიშნა რა დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობა სახელმწიფოსი, მოუწოდა დამსწრეთ მიეწოდებინათ შიდა სახელმწიფო სესხის გავრცელებაში და პარტიათა წარმომადგენლებს კერძოთ სთხოვა თავისი გავლენით ხელი შეეწყონ ამ საქმის განხორციელებას. თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნას ზომები სახელმწიფო სესხის გასავრცელებლად და ერთხმად დაადგინა: არჩეულ იქნას სამაზრო კომისია სესხის პოპულარიზაციისა და განაწილების საქმისთვის. დაავალა მაზრა ოთხ რაიონათ და ოზურგეთის ხაზებში მოეწყოს რაიონებში დანიშნულ ყველა რაიონებზე და ქალაქებით მინდობილი რეგულირება.

ოზურგეთის რაიონის კოოპერატივთა კავშირის წევრთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება გადასახადთა ინსპექტორის თანხმობით, დაადგინა: დღევანდელი კავშირის გამგეობამ შეიძინოს 50,000 მ. ქართული სესხის ობლიგაციები და ამასთანავე კოოპერატივებმა თავიანთ კლიენტების შეიძინონ შეძლების და გვარად.

სამაზრო კომისიამ, რომელიც ხელმძღვანელობს სესხის რეალიზაციის საქმეს, უკვე დაინიშნა რაიონებზე ობლიგაციების რაოდენობა და განკარგულება მისცა რაიონებში მოეწყოს სესხის კომისიები დანიშნულ რაოდენობის გასანაწილებლად.

დამსწრე.

მეორე რაი. მილიც.

კოოპერატივ „მოსავლის“ წევრების საყურადღებოთ.

რადგანაც საზოგადოებაში ხმები გავრცელდა, თითქოს ადრინდელი საზოგადოების სარევიზიო კომისია არიცხავს აკეთებს, ვაცხადებთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მიღებულია ყოველივე ზომები ანგარიშების დაუყოვნებლივ დასამთავრებლად და ამ მოკლე ხანში სარევიზიო კომისია დაამთავრებს მუშაობას, რის შემდეგ მოწვეული იქნება საზოგადო კრება.

სარევიზიო კომისია.

განცხადებანი

დაკარგული ბავშვი

13 წლის გოგო ვალენტინა შერვაშიძე მოიხუროდა ქ. ოზურგეთის კლუბში. ... ხმეზე თავი სახლიდან გაქრა. ნიშნები: წითური თმები, წინა ზედა კბილი მოტეხილი აქვს. მნახველს ვთხოვთ ცნობა მიაწოდოს სამინ ჯაყელთან ქ. ოზურგეთში. ჯილდოს მიიღებს.

იყიდება

შემთხვევით იყიდება კარგ მდგომარეობაში ხელით სასხმი, რამდენიმე ლენტებით, სრულიად მოწყობილი, მისამართი: ნადარბაზევის პირველ ქუჩა № 81 სერგო მაჩაბელი.

იყიდება სახლი

2 ოთახით, დერეფნით და 25 კვად. სადგომი მიწით, მისამართი: ნახალოვკა ქ. № 131. მეკრიჭე გოგაძე. (2—2)

ექიმი

ვ. კლდიაშვილი

სპეციალობა: შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფებს იღებს, ... ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ღარიბ ავადმყოფებს ... 1 საათ.—3 საათ. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა, ... ტელეფონი 8—42.

ექიმი სპეციალისტი ... ქ

მახვილაძე

იღებს სპეციალობით—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, ... ტკივილით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. ... მისამართი: ... ქ. № 11, ...

გაიხსნა

კერძო საავადმყოფო

მუდმივი საწოლებით

მიიღება ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფონი 5—97, ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაციები, კონსულტაცია „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ... სტაციონარული ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინია

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტეტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლოს). ... ტელ. 5—97.

სპეციალისტი დოქტორი ... უნივერსიტეტისა

ვ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ... ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. მისამართი: ... ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი

ა. ფ. მაღლაკელიძე

ქალთა და საოპერაციო ავადმყოფობების ... მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ... ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი

დ. ი. ...

შინაგანი სნეულებანი, იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი

ი. ა. ...-ფილიპოვი

... ქ. № 48, ... ვენერიული სნეულებანი ... „606“ და „914“ შეშხაპუნება. მიღება ავადმყოფების დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალები საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

ა. მ. კაკაბაშვილი

იღებს ბავშვთა შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს ყოველდღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. ... ქ., № 43.

ექიმი

კიკოლია

იღებს ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: ... № 116 ... „...“ ტელ. 14—28.

დოქტორი

გ. მოლდაველი

ყოფილი ასისტენტი ... უნივერსიტეტის ... კლინიკისა. ... ავადმყოფებს ... მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ... ქუჩა, № 82.

საკუთარი კაბინეტი ექიმი

ვ. ნ. მოზიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ... კანის, ... შარდსასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე ... საღამოს 4—6 საათამდე. ... ქუჩა, № 11.

ექიმი

ნ. ლ. ...შვილი

მოსკოვის ... უნივერსიტეტის ... იღებს ყოველ დღე შინაგან, საშვილოსნო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. ... ქ. № 7 ...

ექიმი ზ. გ. ...ძე

სპეციალობა ... სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ... და ... სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. ... ქ. № 58.

ექიმი

[illegible]

... ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი ქალი

რ. გ. ...-საბაშვილი

მოსკოვის ... და ... ქალურ ... იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ბავშვთა ავადმყოფებს ... დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. ფ. ი. ...ძე

... შინაგან, ყურის, ყელის და ... ავადმყოფებს დილის 12—1 საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ... ქ. № 7 ... ტელეფონი 16—65.

მკურნალი დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს ... ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ... ქუჩა ... № 111. (...) ტელეფონი № 49.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ... ქ. № 41, ტელ. № 14—90.

სახელმწიფო თეატრი

დირექცია ... ხელმძღვანელობით.

კვირას 27 აპრილს დილით წარმოდგენილი იქნება:

I 7 თხა, II [illegible], III კატა, თხა და ცხვარი.

საღამოს

ფაუსტი

მონაწილეობენ: ტ. ა. ... , ... , ... , ... , ... , 29 აპრილს ... „კარმენ“, ოთხშაბათს 30 აპრილს „[illegible]“.

მესამე რაიონული კოლექტივი

ორშაბათს, 28 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე ... სახლის კლუბის შენობაში (... ქ. № 1) იწვევს მესამე რაიონის პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: 1) სარევიზიო კომისიის არჩევნები, 2) მიმდინარე კითხვები.

(1—1) მესამე რაიონული კოლექტივი.

თბილისის ... ამხანაგობის რწმუნებულთა

წლიური კრება

დანიშნულია 4 მაისს (ახ. სტ.) ბანკის დარბაზში. კრება დაიწყება დილის 11 ს.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება გამგეობისა და საბჭოსი, 2) 1918 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 3) 1918 წლის მოგების განაწილება, 4) 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) ... ბანკის წარმოების გაფართოების შესახებ, 6) ... „...-კავშირში“ ჩაწერის შესახებ, 7) არჩევნები: 1. საბჭოს წევრების ნაცვლად ... , ... (...), 2. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრების ნაცვლად ... , რომელნიც ვადა გაუვიდათ. 3. ... ნაცვლად ... , რომელსაც ვადა გაუვიდა და სხვა.

(2—1) ამხანაგობის გამგეობა.

თფილისის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს ... მაზრაში რაიონის და ... კომისარიატებში ... ჯამაგირი ... 600 მან., რაიონებში 500 მან. ... საზოგადოებებში.

... (... № 6). (2—2)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

ს. ს. დ. მ. პ. ... წევრთა ... 22 მარტს, რაიონის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა, ყველა ის პირნი, რომელნიც არ განაცხადებენ ... პარტიის წევრობა—საწევრო გადასახადს შეიტანენ ან და 5 მაისამდე არ განაცხადებენ, ორგანიზაციიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან და მათთან ... პარტიულ ორგანიზაციებში და ... ჩაითვლება.